© შპს „ნადირული“

სამონადირეო მეურნეობა

შ.პ.ს. „ნადირული“

მართვის გეგმა

თბილისი 2025 წ.

შინაარსი

ა) სამონადირეო მეურნეობის მართვის მიზნები, ამოცანები და განვითარების სტრატეგია ------ 4
ბ) ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ბიო-ეკოლოგიური დახასიათება, რომელშიც აისახება ---------- 4
ბ.ა) სამონადირეო მეურნეობის ადგილმდებარეობა და ფართობი ----------
ბ.ბ) სამონადირეო მეურნეობის განთავსების მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების დასახელება, რეგიონი, რაიონი, სახელმწიფო ტყის ფონდის კვარტალები (სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებობის შემთხვევაში), დაცული ტერიტორიის დასახელება ((სამონადირეო მეურნეობის დაცულ ტერიტორიაზე არსებობის შემთხვევაში), გეოგრაფიული მდებარეობა - სამონადირეო მეურნეობის საზღვრების წვეროების X და Y კოორდინატები, აღებული UTM კოორდინატთა სისტემაში; აგრეთვე მყარი გეოგრაფიული ნიშნულები, რომელთა სიახლოვესაც მდებარეობს სამონადირეო მეურნეობა ---------- 4
ბ.გ) ტერიტორიის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება: რელიეფი, სიმაღლე ზღვის დონიდან (ლიცენზიით განსაზღრულ მთელ ტერიტორიაზე მინიმალური და მაქსიმალური სიმაღლის მითითებით) ---------- 5
ბ.დ) მცენარეული საფარი: ფლორისტული შემადგენლობა, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მითითებით, მათი კომპაქტური გავრცელების ადგილები; არსებული ჰაბიტატების ტიპები, მათი ფართობების განსაზღვრა, აღწერა და დახასიათება ---------- 5
ბ.ე) ტერიტორიაზე არსებული (მობინადრე) გარეულ ცხოველთა (ძუძუმწოვრები, ფრინველები, რეპტილიები, ამფიბიები, თევზები) ნუსხა (ქართული და ლათინური დასახელებებით) ტერიტორიაზე არსებული (მობინადრე) ფაუნის საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების ნუსხა (ქართული და ლათინური დასახელებებით) და მათი არსებული მდგომარეობის შეფასება, რიცხოვნობა ---------- 7
გ) სანადირო ცხოველების საბინადრო პირობების შეფასება, რომელშიც აისახება --------- 13
გ.ა) სავარგულების ფართობების იდენტიფიკაცია სანადირო ცხოველების თითოეული სახეობისათვის შესაფერის და არაშესაფერის საბინადრო ტერიტორიებად ---------- 13
გ.ბ) სავარგულების იდენტიფიკაცია ჰაბიტატების მიხედვით, სავარგულების ეკოლოგიური და ბიოლოგიურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ---------- 14
დ) სანადირო ცხოველების რესურსის შეფასება, რომელშიც აისახება ---------- 15
დ.ა) სანადირო ცხოველების სახეობრივი სიმდიდრე ---------- 15
დ.ბ) სანადირო ცხოველების გავრცელება, განსახლება და განთავსება საბინადროდ შესაფერის სავარგულებში ---------- 16
დ.გ) სანადირო ცხოველების დასახლების სიმჭიდროვე შესაფერის საბინადრო სავარგულების ტერიტორიაზე და ტიპოლოგიურ ერთეულებში ---------- 19
დ.დ) სანადირო ცხოველების დაცვა, აღწარმოება და სამეურნეო გამოყენება ---------- 20
დ.ე) შესაფერის საბინადრო სავარგულებში მობინადრე ცხოველების პოტენციალური და ოპტიმალური რიცხოვნობა და დასახლების სიმჭიდროვე ---------- 22
დ.ვ) ბიოტექნიკური ღონისძიებები - სანადირო ცხოველების დაცვის შენარჩუნების, გამრავლების და განსახლების ხელის შემწყობი ღონისძიებები, სანადირო ცხოველების საბინადრო პირობების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებები ---------- 23
დ.ზ) სანადირო სამეურნეო გამოყენება, შესაძლებელი მოპოვების კვოტები; სამონადირეო მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალი ---------- 24

ე) სამონადირეო მეურნეობის ზონირება: სამონადირეო მეურნეობის დაყოფა შიდასამეურნეო დანიშნულების მიხედვით: სანადირო უბანი, აღკვეთილი, აღწარმოების უბანი, ნადირ-ფრინველის საშენი ---------- 26
ვ) ცხოველთა აღრიცხვა და მონიტორინგი რომელშიც აისახება: ---------- 27
ვ.ა) მონიტორინგის პროგრამა (მონიტორინგის საქმიანობათა გეგმა); მონიტორინგის მიზანი, ობიექტები, მეთოდები, მონიტორინგის გეგმა წლების მიხედვით; მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს სანადირო და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველთა სახეობებზე, შესაბამისი მონიტორინგის შიდა დოკუმენტაციის წარმოებით (ეგერის დღიური, მონიტორინგის ჟურნალი და სხვ.), რომელსაც, აგრეთვე უნდა დაერთოს ფოტომასალა ან/და ვიდეომასალა GPS კოორდინატების აღნიშვნით (დროისა და თარიღის მითითებით), ასევე კვლევის განმახორციელებელი სპეციალისტის/სპეციალისტების შესახებ ინფორმაცია -------- 27
ვ.ბ) ცხოველთა აღრიცხვის მეთოდები ---------- 29
ზ) ცხოველთა დაცვისა და აღწარმოების ღონისძიებები, რომელშიც აისახება ---------- 30
ზ.ა) ცხოველთა რეინტროდუქციის ან/და რესტოკინგის ღონისძიებები (საჭიროების მიხედვით) - 30
ზ.ბ) ბიოტექნიკური ღონისძიებები (სანადირო სახეობების სანაშენეები, დამხმარე თავშესაფრები (ტიპი, მდებარეობა) დაავადებების პროფილაქტიკა, საკვებურების მოწყობა, ცხოველთა საკვებ მცენარეთა გაშენება და სხვა) ---------- 34
ზ.გ) საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველთა სახეობების დაცვის, შენარჩუნებისა და აღწარმოების ღონისძიებები ---------- 35
ზ.დ) ინვაზიური სახეობების ელიმინაციის ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში) ----- 36
ზ.ე) მოქმედი ბუნებრივი და ანთროპოგენური ნეგატიური ფაქტორების და პოტენციური საფრთხეების იდენტიფიკაცია და მათი აღმოფხვრის/შერბილების ღონისძიებები -------- 36
თ) ბიომრავალფეროვნების, მათ შორის, ენდემური და რელიქტური სახეობების, მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვისა და მდგრადი მართვის ღონისძიებები ------ 37
ი) ტერიტორიის განაწილება ხანძრის საშიშროების კლასების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების ნუსხა ---------- 37
კ) ინფორმაცია ტყეების სანიტარიული მდგომარეობის შესახებ და გაუმჯობესების ღონისძიებები, ტყის ენტომომავნებლებით და ფიტო დავადებებით ტყეების დაავადების პროფილაქტიკისა და სალიკვიდაციოდ რეკომენდებული ღონისძიებების ნუსხა ცალკეული ტერიტორიების მიხედვით ---------- 38
ლ) ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მექანიზმები (მცველთა რაოდენობა, ტრენინგი, შესაბამისი ნაგებობები და სხვა) ---------- 38
მ) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაგეგმილი ღონისძიებები ---------- 38
ნ) ინფრასტრუქტურის განვითარება: შესასვლელები, ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, ვიზიტორთა მომსახურების ინფრასტრუქტურა (სასტუმრო, ბილიკები, საინფორმაციო ცენტრი და სხვა), ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო ელ. მომარაგების, წყალმომარაგების და წყლის არინების სისტემების მითითება, სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული შიდა ინფრასტრუქტურა (გზები, ნაგებობები) --------- 39
ო) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები --- 40
პ) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ჰიდროლოგიური ქსელის დახასიათება- 41
სალიცენზიო პირობებისა და მართვის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები და მათი შესრულების გეგმა-გრაფიკი ---------- 41

ა) სამონადირეო მეურნეობის მართვის მიზნები, ამოცანები და განვითარების სტრატეგია

სამონადირეო მეურნეობის მართვის მიზანია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე გარეულ ცხოველთა დაცვის, აღწარმოების, მდგრადი სარგებლობისა და მათი საბინადრო გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.

მიზნის მისაღწევად, გეგმის ამოცანებია: სანადირო ცხოველების საბინადრო პირობების გაუმჯობესება; მათი დაცვა-შენარჩუნების, გამრავლებისა და განსახლების ხელის შეწყობა; საჭიროების შესაბამისად სანადირო ცხოველთა აღდგენა - ხელოვნური მოშენება და მიზნობრივი გამოყენება; გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვა-აღდგენის ხელშეწყობა; ტურიზმის, მათ შორის სამონადირეო ტურიზმისა და ამისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება; სალიცენზიო ტერიტორიის დაცვა და არსებული ჰაბიტატების/სანადირო სავარგულების მოვლის ღონისძიებების გატარება.

სამონადირეო მეურნეობის განვითარების სტრატეგია გულისხმობს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ამ გეგმის მიხედვით დაგეგმილ ქმედებათა, აგრეთვე საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად დასახული აქტივობების გეგმაზომიერ განხორციელებას, რათა შეიქმნას ცხოველების, მათი საბინადრო გარემოს და მდგრადი ნადირობისათვის უსაფრთხო, ხელსაყრელი და მიმზიდველი გარემოპირობები, გრძელვადიანი შენარჩუნებისა და სარგებლის მისაღებად.

ბ) ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ბიო-ეკოლოგიური დახასიათება, რომელშიც აისახება:

ბ.ა) სამონადირეო მეურნეობის ადგილმდებარეობა და ფართობი;

სამონადირეო მეურნეობა მდებარეობს ყორულის აღკვეთილის ტერიტორიის ნაწილში და მისი ფართობი შეადგენს 820 ჰექტარს.

ბ.ბ) სამონადირეო მეურნეობის განთავსების მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების დასახელება, რეგიონი, რაიონი, სახელმწიფო ტყის კვარტალები (სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებობის შემთხვევაში), დაცული ტერიტორიის დასახელება (სამონადირეო მეურნეობის დაცულ ტერიტორიაზე არსებობის შემთხვევაში), გეოგრაფიული მდებარეობა - სამონადირეო მეურნეობის საზღვრების წვეროების X და Y კოორდინატები, აღებული UTM კოორდინატთა სისტემაში; მყარი გეოგრაფიული ნიშნულები, რომელთა სიახლოვესაც მდებარეობს სამონადირეო მეურნეობა;

სამონადირეო მეურნეობა განთავსებულია კახეთის მხარეში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ყორულის აღკვეთილის ტერიტორიის ნაწილის NN1,2,3,5,6,7,8,9,10 კვარტლებში. ყორულის აღკვეთილი კი თავის მხრივ შედის მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში.

სამონადირეო მეურნეობა მდებარეობს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებში:

ცხრილი N1

ჰორიზონტიის მხარეები	სამონადირეო მეურნეობის საზღვრების წვეროების კოორდინატები აღებული UTM კოორდინატთა სისტემაში	
	X	Y
ჩრდილოეთი (N)	536478	4612385

დასავლეთი (W)	536240	4610647
აღმოსავლეთი (E)	540903	4607682
სამხრეთი (S)	540373	4607533

მეურნეობა საგარეჯოდან დაშორებულია დაახლოებით 14 კმ-ით, ხოლო თბილისიდან 64 კმ-ით.

ბ.გ) ტერიტორიის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება: რელიეფი, სიმაღლე ზღვის დონიდან (ლიცენზიით განსაზღვრულ მთელ ტერიტორიაზე მინიმალიური და მაქსიმალური სიმაღლის მითითებებით);

რელიეფი:

მეურნეობის ტერიტორია გეოლოგიურად ამიერკავკასიის მთათაშუა ოლქში შედის და მოიცავს მისი აღმოსავლეთი დაძირვის მოლასურ ზონას. აგებულია ძირითადად შუა მიოცენის (თარხანი, ჩოკრაკი, კარაგანი, კონკი) ზღვიური მოლასური ნალექებით, რომლებიც აქ წარმოდგენილია თიხებით, ქვიშაქვებით, ზოგჯერ ბაზალტური კონგლომერატებით, მერგელბით, ოოლითური და ქვიშიანი კირქვებით.

სიმაღლე ზღვის დონიდან:

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია ზღვის დონიდან დაახლოებით 500 მ სიმაღლეზეა.

ბ.დ) მცენარეული საფარი: ფლორისტული შემადგენლობა, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მითითებით, მათი კომპაქტური გავრცელების ადგილები; არსებული ჰაბიტატების ტიპები, მათი ფართობების განსაზღვრა, აღწერა და დახასიათება;

- ფლორისტული შემადგენლობა:

ცხრილი N2

ხეები და ბუჩქები		**შენიშვნა**
ქართული სახელწოდება	**ლათინური სახელწოდება**	
ჭალის ვერხვი	Populus hybrida	
ოფი	Populus nigra	
ჩვეულებრივი მურყანი	Alnus barbata	
ჭალის მუხა	Quercus pedunculiflora C.Koch	წითელი ნუსხა (შერეული სახით გვხვედება ჭალის ტყესა და ვერხვნარებში)
ქართული კოწახური	Berberis iberica	ენდემური სახეობა
ფშატი	Elaeagnus angustifolia	
ქაცვი	Hippophae rhamnoides	
ჩვეულებრივი ძეძვი	Paliurus spina-christi	
ლელი	Phragmits communis	

ლერწამი	Arundo donax	
აღმოსავლეთის კატაბარდა	Clematis orientalis	
ეკალღიჭი	Smilax excelsa	
ღვედკეცი	Periploca gracea	
პასტუხოვის სურო	Hedera pastuchowii	წითელი ნუსხა
კაკლის ხე	Juglans regia	წითელი ნუსხა
პატარა თელადუმა (ყარაღაჯი)	Ulmus minor	წითელი ნუსხა
შინდი	Cornus mas	
კვიდო	Ligustrum vulgare	
შინდანწლა	Swida iberica	
ზღმარტლი	Mespilus germanica	
ბროწეული	Punica granatum	
კოწახური	Berberis vulgaris	
კვრინჩხი	Prunus spinosa	
ეკლის ხე, ცრუაკაცია	Robinia pseudoacacia	ინვაზიური სახეობა
ჯაგრცხილა	Carpinus orientalis	
რცხილა	Carpinus caucasica	
თუთა	Morus alba	
ლეღვი	Ficus carica	
ქართული თელა	Ulmus georgica	ენდემური სახეობა
ასკილი	Rosa canina	
იალღუნი	Tamarix ramosissima	
წითელი კუნელი	Crataegus microphylla	
შავი კუნელი	Crataegus pentagyna	
მინდვრის ნეკერჩხალი	Acer campestre	
დიადი ბოყვი	Acer pseudoplatanus	
კორპის თელა	Ulmus suberosa	

- მცენარეული სარტყელის ზონირება

მდინარე იორის ქვედა დინების იმ ნაწილის თავისებურება, სადაც განლაგებულია სამონადირეო მეურნების ფართობი, განპირობებულია მშრალი სუბტროპიკული არიდული კლიმატის ზონით. კლიმატური პირობების შესატყვისად, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, იცვლება მცენარეული საფარი. მდ. იორის ხეობის ამ ნაწილის რელიეფის თავისებურება განაპირობებს აგრეთვე მცენარეული საფარის ვერტიკალურ ცვლილებებს. ვაკე-ჭალაზე და მდინარის კალაპოტში წარმოქმნილ კუნძულებზე გავრცელებულია ტირიფი და ქაცვი. პირველი ტერასის მცენარეულობას წარმოადგენს ვერხვნარ-თელნარები მათში მცირე რაოდენობით შერეული ჭალის მუხის მონაწილეობით. მეორე ტერასაზე მცირე რაოდენობით გაბატონებულია ჭალის მუხნარები. ამ ტერასის განაპირა ნაწილში მუხნარები მეჩხერდება და იცვლება მეორადი წარმოშობის ძეძვიანებით. გორაკების ფერდობები ქვევიდან ზევით დაფარულია ურეოიან-გრაკლიანებით, ურეოიან-ძეძვიანებით, ურეოიან-გრაკლიან-ძეძვიანებით და ურეოიან-გრაკლიან-ღვიიანებით. ველის მცენარეულობა წარმოდგენილია ურეოიანებით, ვაციწვერიან-ურეოიანებით, ავშნიანებით და ველისწივანიან-ავშნიანებით. ჭალის ტყის მცენარეული საფარის დომინანტებია: ჭალის მუხა და ჭალის ვერხვი. აქ გავრცელებულ ფლორის სახეობებიდან აგრეთვე გვხდება თელა, რცხილა, ნეკერჩხალი, თუთა, იფანი, კაკლის ხე, აკაცია, ჯარგცხილა, ქაცვი (ერთეულების სახით), ძეძვი, იალღუნი (მცირე რაოდენობით), წითელი და შავი კუნელი, შინდი, მაყვალი, კვრინჩხი, შინდანწლა, კვიდო, ჭანჭყატი, ასკილი,

ზღმარტლი, ტყემალი, ბროწეული, ცხრატყავა, ჭალაფშატა, კოწახური. დიდი რაოდენობით არის სუროები და ლიანები: ჩვეულებრივი და პასტუხოვის სურო ეკალღიჭი, კატაბარდა, ღვედკეცი და სხვა.

საქართველოს ,,წითელ ნუსხაში" შეტანილი მცენარეებიდან სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებულია **კაკლის ხე (Juglans regia), ჭალის მუხა (Quercus pedunculiflora C.Koch), პატარა თელადუმა (ყარაღაჯი) (Ulmus minor)**, **პასტუხოვის სურო (Hedera pastuchowii)**.

ენდემური სახეობები:
ქართული კოწახური (Berberis iberica), ქართული თელა (Ulmus georgica).
ინვაზიური სახეობა:
ეკლის ხე, ცრუაკაცია (Robinia pseudoacacia).

არსებული ჰაბიტატების ტიპების და ფართობების განსაზღვრა:

ცხრილი N3

N	დასახელება	ფართობი (ჰა)
1	ვერხვნარი	213,6
2	მუხნარი	313,4
3	აკაცია	187,4
4	ველობი	43,6
5	სახნავი	60
6	ჭაობი	2
სულ		820

ბ.ე) ტერიტორიაზე არსებული (მობინადრე) გარეულ ცხოველთა (ძუძუმწოვრები, ფრინველები, რეპტილიები, ამფიბიები, თევზები) ნუსხა (ქართული და ლათინური დასახელებებით); ტერიტორიაზე არსებული (მობინადრე) ფაუნის საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობების ნუსხა (ქართული და ლათინური დასახელებებით) და მათი არსებული მდგომარეობის შეფასება, რიცხოვნობა;

ძუძუმწოვრები (Mammalia)

ცხრილი N4

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	შენიშვნა
1	აღმოსავლეთევროპული ზღარბი	Erinaceus concolor	
2	კავკასიური თხუნელა	Talpa caucasica	
3	მცირე ცხვირნალა	Rhinolophus hipposideros	
4	დიდი ცხვირნალა	Rhinolopus ferrumequinum	
5	ჩვეულებრივი ღამურა	Vespertilio murinus	
6	ჯუჯა ღამორი	Pipistrellus pipistrellus	

7	ძილგუდა	Glis glis	
8	კავკასიური ციყვი	Sciurus anomalus	წითელი ნუსხა
9	დედოფალა, სინდიოფალა	Mustela nivalis	
10	მინდვრის თაგვი	Apodemus agrarius	ენდემური სახეობა
11	მცირე თაგვი	Apodemus uralensis	ენდემური სახეობა
12	პონტოს თაგვი	Apodemus ponticus	ენდემური სახეობა
13	სახლის თაგვი	Mus musculus	ენდემური სახეობა
14	სტეპის თაგვი	Apodemus fulvipectus	ენდემური სახეობა
15	შავი ვირთაგვა	Rattus rattus	ენდემური სახეობა
16	მელა	Vulpes vulpes	
17	მგელი	Canis lupus	
18	ტურა	Canis aureus	
19	კლდის კვერნა	Martes foina	
20	წავი	Lutra lutra	წითელი ნუსხა
21	მაჩვი	Meles meles	
22	ლელიანის კატა	Felis chaus	წითელი ნუსხა
23	ტყის კატა	Felis silvestris	
24	გარეული ღორი	Sus scrofa	
25	კურდღელი	Lepus europaeus	
26	ნუტრია	Myocastor coypus	ინვაზიური სახეობა
27	ენოტი	Procyon lotor	ინვაზიური სახეობა
28	მაჩვზღარბა	Hystrix indica	ინვაზიური სახეობა

ფრინველები (Aves)

ცხრილი N5

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	შენიშვნა
1	რუხი ბატი	Anser anser	
2	დიდი თეთრშუბლა ბატი	Anser albifrons	
3	წითელთავა ყვინთია	Aythya ferina	
4	ქოჩორა ყვინთია	Aythya fuligula	
5	წითელყელა ბატი	Branta ruficollis	
6	შავყელა ღორიხვა	Gavia arctica	
7	დიდი კოკონა	Podiceps cristatus	

8	მცირე კოკონა	Tachybaptus ruficollis	
9	ჭახჭახა იხვი (იხვინჯა)	Anas querquedula ან Spatula querquedula	
10	გარეული იხვი	Anas platyhrynchos	
11	ბოლოსადგისა (ან კუდსადგისა) იხვი	Anas acuta	
12	განიერნისკარტა იხვი	Spatula clypeata	
13	სტვენია იხვი (ჭიკვარა)	Anas crecca	
14	რუხი იხვი	Anas strepera ან Mareca strepera	
15	ამლაყი იხვი	Tadorna tadorna	
16	მელოტა	Fulica atra	
17	დიდი ჩვამა	Phalacrocorax carbo	
18	ქოჩორა ჩვამა	Phalacrocorax aristotelis	
19	მცირე თეთრი ყანჩა	Egretta garzetta	
20	რუხი ყანჩა	Ardea cinerea	
21	დიდი ყარაულა (წყლის ბუღა)	Botaurus stellaris	
22	ფასკუნჯი	Neophron percnopterus	წითელი ნუსხა. პერიოდულად მობინადრე.
23	ბატკანძერი (ან წვერიანი სვავი, ყაჯირი, კრავიჭამია)	Gypaetus barbatus	წითელი ნუსხა. პერიოდულად შემომფრენი.
24	ბექობის (ან თეთრმხრება) არწივი	Aquila heliaca	წითელი ნუსხა
25	ჩვეულებრივი კაკაჩა	Buteo buteo	
26	ველის (ან გრძელფეხა) კაკაჩა	Buteo rufinus	წითელი ნუსხა
27	ქორი	Accipiter gentilis	
28	მიმინო	Accipiter nisus	
29	ქორცქვიტა (ან შავთვალა მიმინო, ლევანმიმინო)	Accipiter brevipes	წითელი ნუსხა
30	ჩვეულებრივი კირკიტა	Falco tinnunculus	

31	ველის ძელქორი (ან ველის ბოლობეჭდა)	Circus macrourus	
32	ჩვეულებრივი შავარდენი	Peregrine Falcon	
33	სვავი	Aegypius monachus	წითელი ნუსხა. პერიოდულად შემომფრენი.
34	ორბი	Gyps fulvus	წითელი ნუსხა. პერიოდულად შემომფრენი.
35	მარჯანი	Falco subbuteo	
36	კოლხური ხოხობი	Phasianus colchicus	
37	ტყის ქათამი	Scolopax rusticola	
38	მწყერი	Coturnix coturnix	
39	ღალღა	Crex crex	
40	ჩიბუხა	Gallinago gallinago	
41	ქედანი	Columba palumbus	
42	გარეული მტერდი	Columba livia	
43	ჩვეულებრივი გვრიტი	Streptopelia turtur	
44	გულიო (ან გვიძინი)	Columba oenas	
45	წყრომი	Otus scops	
46	ჭოტი	Athene noctua	წითელი ნუსხა.
47	ტყის ბუ	Strix aluco	
48	ნამგალა	Apus apus	
49	ოქროსფერი კვირიონი	Merops apiaster	
50	ალკუნი	Alcedo atthis	
51	ყაპყაპი	Coracias garrulous	
52	ოფოფი	Upupa epops	
53	შავი კოდალა	Dryocopus martius	
54	მწვანე კოდალა	Picus viridis	
55	სახლის ბეღურა	Passer domesticus	
56	მინდვრის მწყრჩიტა	Anthus campestris	

57	მდელოს მწყერჩიტა	Anthus pratensis	
58	ტარბი	Sturnus roseus	
59	ჩვეულებრივი ღაჟო	Lanius collurio	
60	შავშუბლა ღაჟო	Lanius minor	
61	სკვინჩა (ნიბლია)	Fringilla coelebs	
62	ჩხართვი	Turdus viscivorus	
63	შაშვი	Turdus merula	
64	მცირე თეთრყელა ასპუჭაკა	Sylvia curruca	
65	ჭვინტა (მეკანაფია)	Linaria cannabina	
66	ჩვეულებრივი ჭივჭავი (ჩვეულებრივი ყარანა)	Phylloscopus collybita	
67	მომწვანო ჭივჭავი (მომწვანო ყარანა)	Phylloscopus trochiloides	
68	ჭილყვავი	Corvus frugilegus	
69	მინდვრის ბეღურა	Passer montanus	
70	შოშია (შროშანი)	Sturnus vulgaris	
71	მოლაღური	Oriolus oriolus	
72	კლდის გრატა	Emberiza cia	
73	მოყვითალო გრატა	Emberiza citrinella	
74	შავთავა გრატა	Emberiza melanocephala	
75	გუგული	Cuculus canorus	
76	რუხი ბუზიჭერია (რუხი მემატლია)	Muscicapa striata	
77	თეთრი ბოლოქანქარა	Motacilla alba	
78	გულწითელა	Erithacus rubecula	
79	ჩხიკვი	Garrulus glandarius	
80	კაჭკაჭი	Pica pica	
81	რუხი ყვავი	Corvus corone	

რეპტილიები (Reptilia)

ცხრილი N6

N	**ქართული დასახელება**	**ლათინური დასახელება**	**შენიშვნა**
1	ხმელთაშუაზღვეთის კუ	Testudo graeca	წითელი ნუსხა
2	ჭაობის კუ	Emys orbicularis	
3	კასპიური კუ	Mauremis caspisa	

4	გველხოკერა	Pseudopus apudus	
5	გიურზა	Macrovipera lebetina	
6	ბოხმეჭა	Anguis colchica	
7	საშუალო ხვლიკი	Lacerta media	
8	ზოლიანი ხვლიკი	Lacerta strigata	
9	დასავლური მახრჩობელა	Eryx jaculus Dumeril & Bibron 1844	წითელი ნუსხა
10	ჩვეულებრივი ანკარა	Nartix natrix	
11	წყლის ანკარა	Natrix tessellata	
12	ოთხზოლიანი მცურავი	Elaphe sauromates	
13	წითელმუცელა მცურავი	Dolichophis schmidti	
14	წენგოსფერი მცურავი	Platyceps najadum	
15	კავკასიური ჯოჯო	Paralaudakia caucasia	
16	საყელოიანი ეირენისი	Eirenis collaris	წითელი ნუსხა

ამფიბიები (Amphibia)

ცხრილი N7

N	**ქართული დასახელება**	**ლათინური დასახელება**	**შენიშვნა**
1	მწვანე გომბეშო	Bufo virdis	
2	მცირეაზიური ვასაკა	Hyla savignyi	
3	ტბორის ვასაკა	Pelophylax ridibundus	
4	აღმოსავლური სავარცხლიანი ტრიტონი	Triturus karelinii	

თევზები (Pisces)

ცხრილი N8

#	**ქართული დასახელება**	**ლათინური დასახელება**	**შენიშვნა**
1	ბლიკა	Blicca bjoerkna	
2	წინააზიური გველანა	Sabanejewia aurata	წითელი ნუსხა
3	ლოქო	Silurus glanis	
4	მურწა	Luciobarbus mursa	
5	აღმოსავლური ქაშაპი	Squalius orientalis	
6	შამაია	Alburnus chalcoides	

7	ჭანარი	Luciobarbus capito	
8	ჩვეულებრივი ჭერეხი	Leuciscus aspius	
9	ხრამული	Capoeta capoeta	
10	კობრი	Cyprinus carpio	
11	აღმოსავლური კაპარჭინა	Abramis brama	

სამონადირეო მეურნეობაში მობინადრე, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მდგომარეობა, ტერიტორიის დაცვის ქმედებების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას დამაკმაყოფილებელია. თუმცა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ წითელ ნუსხაში შეტანილია ის სახეობები, რომლებსაც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფის სტატუსი აქვთ (სხვადასხვა დაცულობის ხარისხით), ბუნებრივია მათი მდგომარეობა და საკონსერვაციო სტატუსი საჭიროებს განსაკუთრებულ მიდგომებს და გაუმჯობესების ქმედებებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნულისთვის, წინამდებარე მართვის გეგმითაც დასახულია სათანადო ქმედებები, რომლებიც მოცემულია ქვევით, შესაბამის ქვეთავში.

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ფაუნის სახეობები, შემდეგი რაოდენობით:

- ძუძუმწოვრები - 28;
- ფრინველები - 81;
- რეპტილიები - 16;
- ამფიბიები - 4;
- თევზები - 11.

ძუძუმწოვრებიდან, რომლებიც გვხვდებიან სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე:

- ენდემურია - 6 სახეობა;
- ინვაზიურია - 3 სახეობა.

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების რაოდენობა:

- ძუძუმწოვრები - 3;
- ფრინველები - 8;
- რეპტილიები - 3;
- თევზები - 1.

გ) სანადირო ცხოველების საბინადრო პირობების შეფასება, რომელშიც აისახება:

გ.ა) სავარგულების ფართობების იდენტიფიკაცია სანადირო ცხოველების თითოეული სახეობისათვის შესაფერის და არაშესაფერის საბინადრო ტერიტორიებად;

სავარგულების ფართობების სამონადირეო ტიპოლოგიური იდენტიფიკაცია განხორციელდა შერჩევითი მეთოდებით: დაცულ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყეში - ტყის ტიპების მიხედვით, ხოლო კომპანიის მიერ იჯარით აღებულ, მიმდებარედ არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე - აგროლანდშაფტების ტიპების მიხედვით.

სანადირო ცხოველების თითოეული სახეობისათვის შესაფერისი და არაშესაფერისი საბინადრო ტერიტორიის დადგენისათვის გამოყენებული იქნა ცხოველთა სიმჭიდროვის ინდექსაციის პრინციპები.

გარეული ღორისათვის - საბინადრო შესაფერისი სავარგულებია: მუხნარები, ვერხვნარები, ჭალის ბუჩქნარები, ხევები და ხრამები. ეპიზოდურად საბინადროსტაციებია ველობები, სახნავები, ტყის კულტურები, ბაღები, ჭაობები.

კურდღლისათვის საბინადროდ ვარგისია: მუხნარები, ვერხვნარები, თელნარები, ბუჩქნარები, კულტურები, ველობები, სახნავები, ბაღები, ხევები და ხრამები, კლდიანი ნაშალები.

კოლხური ხოხბისათვის საბინადროდ შესაფერისია მუხნარები, ვერხვნარები, ჭალის ბუჩქნარები, ტყის კულტურები, ველობები, სახნავები, ბაღები.

ტყის ქათმისათვის - საბინადროდ ვარგისია მუხნარები, ვერხვნარები, ბუჩქნარები, კულტურები, ბაღები.

წყალმცურავი და ჭაობის ფრინველებისათვის საბინადროდ ვარგისია მდინარის ჭალა და მდინარისპირა ლელიან-ლაქაშიანები.

ქედანი, გარეული მტრედი, ჩვეულებრივი გვრიტი, გულიო (ან გვიძინი) - საბინადროდ ვარგისია მუხნარები, ვერხვნარები, ტყის კულტურები, ბაღები, ველობები, სახნავები.

მგელი, მელა - საბინადროდ შესაფერისია მთელი ფართობი.

ტურა, ენოტი, მაჩვი, მაჩვზღარბა - საბინადროდ ვარგისია უშუალოდ ჭალა და მისი მიმდებარე ტყე - ბუჩქნარი ზოლი.

სანადირო ცხოველების საბინადრო სავარგულების ბუნებრივი თვისებები და მათი ტრანსფორმაცია სამეურნეო გამოყენების შედეგად განაპირობებენ ნადირ-ფრინველის დღე-ღამურ, სეზონურ და წლიურ საბინადრო სივრცის თვისებებსა და ხარისხს. სავარგულების სამონადირეო-ტიპოლოგიური იდენტიფიკაცია და მათი შეფასება გარეული ცხოველების საბინადროდ ვარგისიანობის კუთხით კი უშუალოდ ეყრდნობა სატყეო ტიპოლოგიურ, სატაქსაციო და გეობოტანიკურ მახასიათებლებს.

გ.ბ) სავარგულების იდენტიფიკაცია ჰაბიტატების მიხედვით,
სავარგულების ეკოლოგიური და ბიოლოგიურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება;

ჭალის მუხნარები - წარმოდგენილია მწიფე ასაკის, საშუალო სიხშირის კორომებით. ნაყოფიერების პერიოდი შეადგენს დაახლოებით 3-5 წელიწადს. ქვეტყე კარგად განვითარებულია, თანაბრად ფარავს მთელ ფართობს, ხოლო რიგ ადგილებში ქმნის ხშირ, გაუვალ რაყებს. ბალახის საფარი თხელი ან საშუალო სიხშირისაა, მხოლოდ ღია ადგილებშია ხშირი. კარგად განვითარებულია სურო, ეკალჯიღი, კატაბარდა, ღვედკეცი, სვია.

ვერხვნარ-თელნარები - სამონადირეო სავარგული ხასიათდება ვერხვნარებით, თელნარებით, ვერხვნარ-თელნარებით, ვერხვნარ-ტირიფნარებით. გამოირჩევიან დაბალი სიხშირით და დიდი სიმაღლით,ძირითადადმწიფედა გადაბერებული ასაკის კორომებია. დაბალი სიხშირის გამო ნიადაგი უფრო განათებულია და ბალახის საფარი საშუალო სიხშირისაა ან ხშირია.

ქვეტყე - ფართობის ნაწილებში განვითარებულია თანაბრად, ხოლო ნაწილებში წარმოდგენილია მაყვლის ხშირი, გაუვალი რაყებით. თითქმის ყველა ხეზეა მხვიარა მცენარეები - სურო, ეკალჯიღი, ხვია, კატაბარდა, ღვედკეცა.

ჭალის ბუჩქნარები - წარმოდგენილია ქაცვის და იალღუნის ხშირი რაყებით.

კულტურები - წარმოდგენილია ხელოვნურად გაშენებული კაკლის, აკაციის და თუთის სახით, რომლებიც მოფანტულია სავარგულის მთელ ფართობზე.

ძეძვიანები - წარმოადგენს ბუჩქნარ-ბალახიან სავარგულებს. ისინი მეორად წარმოშობისაა და გაბატონებულია მუხნარების ყოფილ ფართობზე.

ველები - მცენარეული საფარის მხრივ განსხვავდებიან ვაკე-ჭალის, პირველი და მეორე ტერასის ველობები.

სახნავები - სავარგულების ფართობში მდებარე სახნავები ძირითადად გამოიყენება გარეული ნადირ-ფრინველის დამატებით საკვების წარმოებისათვის და მათ სხვა დანიშნულება არ გააჩნიათ.

ბაღები - განთავსებულია ძირითადში შენობა-ნაგებობათა მიმდებარე ფართობებზე.

ხევები, ხრამები, კლდიანი ნაშალები - მცირე ფართობებად მიმოფანტულია სავარგულების მთელ ტერიტორიაზე, მცენარეული საფარი აქ სუსტად განვითარებულია.

წყლები - წყლიან სავარგულს წარმოადგენს მდინარე იორის კალაპოტი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სავარგული ხელსაყრელი ჰაბიტატია გარეულ ცხოველთა სხვადასხვა სახეობის ბინადრობისთვის. ამ ფართობების ეკოლოგიური მდგომარეობა უზრუნველყოფს ცხოველთა განსახლებას, ბინადრობისა და გამრავლების ხელსაყრელ პირობებს. თუმცა გეგმით დადგენილია სხვადასხვა ხელშემწყობი ქმედების განხორციელებაც, რაც ასახულია ქვემოთ, შესაბამის ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარგულების ეკონომიკური მდგომარეობა, ტერიტორიის ფართობისა და დაგეგმილი აღდგენა-ხელშეწყობის ქმედებების გათვალისწინებით, დამაკმაყოფილებლად შეიძლება იქნას მიჩნეული.

დ) სანადირო ცხოველების რესურსის შეფასება, რომელშიც აისახება:

დ.ა) სანადირო ცხოველების სახეობრივი სიმდიდრე;

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე სანადირო ცხოველების სიმდიდრე წარმოდგენილია მკვიდრი, ეპიზოდურად მობინადრე ან გადამფრენი სახეობებით.

ცხრილი N9

N	სანადირო სახეობების დასახელება		სტატუსი
	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	
	ძუძუმწოვრები (Mammalia)		
1	გარეული ღორი	Sus scrofa	ნადირობის ობიექტი
2	კურდღელი	Lepus europeus	ნადირობის ობიექტი
3	მგელი	Canis lupus	ნადირობის ობიექტი
4	მელა	Vulpes vulpes	ნადირობის ობიექტი
5	მაჩვი	Meles meles	ნადირობის ობიექტი
6	ტურა	Canis aureus	ნადირობის ობიექტი
7	ენოტი	Procyon lotor	ნადირობის ობიექტი
8	მაჩვზღარბა	Hystrix indica	ნადირობის ობიექტი
9	ნუტრია	Myocastor coypus	ნადირობის ობიექტი
	ფრინველები (Aves)		
1	მწყერი	Coturnix coturnix	ნადირობის ობიექტი
2	ჩვეულებრივი გვრიტი	Streptopelia turtur	ნადირობის ობიექტი
3	ქედანი	Columba palumbus	ნადირობის ობიექტი
4	გულიო (ან გვიძინი)	Columba oenas	ნადირობის ობიექტი
5	ღალღა	Crex crex	ნადირობის ობიექტი

6	ტყის ქათამი	Scolopax rusticola	ნადირობის ობიექტი
7	ჩიბუხა	Gallinago gallinago	ნადირობის ობიექტი
8	მელოტა	Fulica atra	ნადირობის ობიექტი
9	გარეული მტრედი	Columba livla	ნადირობის ობიექტი
10	კოლხური ხოხობი	Phasianus colchicus	ნადირობის ობიექტი
11	ჭახჭახა იხვი (ან იხვინჯა)	Anas querquedula ან Spatula querquedula	ნადირობის ობიექტი
12	გარეული იხვი	Anas platyhrynchos	ნადირობის ობიექტი
13	ბოლოსადგისა (ან კუდსადგისა) იხვი	Anas acuta	ნადირობის ობიექტი
14	განიერნისკარტა იხვი	Spatula clypeata	ნადირობის ობიექტი
15	სტვენია იხვი (ან ჭიკვარა)	Anas crecca	ნადირობის ობიექტი
16	რუხი იხვი	Anas strepera ან Mareca strepera	ნადირობის ობიექტი
17	რუხი ბატი	Anser anser	ნადირობის ობიექტი
18	დიდი თეთრშუბლა ბატი	Anser albifrons	ნადირობის ობიექტი
19	წითელთავა ყვინთია	Aythya ferina	ნადირობის ობიექტი
20	ქოჩორა ყვინთია	Aythya fuligula	ნადირობის ობიექტი

დ.ბ) სანადირო ცხოველების გავრცელება, განსახლება და განთავსება საბინადროდ შესაფერის სავარგულებში;

- **სანადირო ცხოველების გავრცელების არე ფართობის მიხედვით:**

ცხრილი N10

N	სანადირო სახეობების დასახელება		კონკრეტული სახეობისათვის საბინადრო სავარგულის ფართობი (ჰა)	შეაფერისი საბინადრო სავარგული
	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება		
1	გარეული ღორი	Sus scrofa	550	ვერხვნარი, ჭალის ტყე, ბუჩქნარი
2	კურდღელი	Lepus europeus	500	ვერხვნარი, ჭალის ტყე, ბუჩქნარი,

				ველობი, ნათესი კულტურები
3	მგელი	Canis lupus	820	მთელი ტერიტორია
4	მელა	Vulpes vulpes	820	მთელი ტერიტორია
5	მაჩვი	Meles meles	820	ვერხვნარი, ბუჩქნარი, ველობი, ნათესი კულტურები
6	ტურა	Canis aureus	820	მთელი ტერიტორია
7	ენოტი	Procyon lotor	820	მთელი ტერიტორია
8	მაჩვზღარბა	Hystrix indica	820	ვერხვნარი, ჭალის ტყე, ბუჩქნარი, ნათესი კულტურები, ქვაღორღილები
9	ნუტრია	Myocastor coypus	მდინარის 10 კმ	მდინარის განაპირა ზოლი
10	მწყერი	Coturnix coturnix	820	მთელი ტერიტორია
11	ჩვეულებრივი გვრიტი	Streptopelia turtur	820	მთელი ტერიტორია
12	ქედანი	Columba palumbus	820	მთელი ტერიტორია
13	გულიო (ან გვიძინი)	Columba oenas	820	მთელი ტერიტორია
14	ღალღა	Crex crex	820	მთელი ტერიტორია
15	ტყის ქათამი	Scolopax rusticola	820	მთელი ტერიტორია
16	ჩიბუხა	Gallinago gallinago	-	ჭაობიანი ადგილი
17	მელოტა	Fulica atra	-	მდინარის ნაპირი
18	გარეული მტრედი	Columba livla	820	მთელი ტერიტორია
19	კოლხური ხოხობი	Phasianus colchicus	620	ჭალის ტყე და ბუჩქნარი
20	ჭახჭახა იხვი (ან იხვინჯა)	Anas querquedula ან Spatula querquedula	-	მდინარის ნაპირი, ჭაობიანი ადგილი
21	გარეული იხვი	Anas platyhrynchos	-	
22	ბოლოსადგისა (ან კუდსადგისა) იხვი	Anas acuta	-	

23	გაინიერნისკარტა იხვი	Spatula clypeata	-
24	სტვენია იხვი (ან ჭიკვარა)	Anas crecca	-
25	რუხი იხვი	Anas strepera ან Mareca strepera	-
26	რუხი ბატი	Anser anser	-
27	დიდი თეთრშუბლა ბატი	Anser albifrons	-
28	წითელთავა ყვინთია	Aythya ferina	-
29	ქოჩორა ყვინთია	Aythya fuligula	-

მკვიდრი და ეპიზოდურად მობინადრე სანადირო ცხოველების განსახლება და განთავსება საბინადროდ შესაფერის სავარგულებში:

ზემოაღნიშნული ცხრილებიდან ჩანს, რომ ტერიტორია საკმაოდ ღარიბია ძუძუმწოვართა სახეობებით, განსაკუთრებით ჩლიქოსანი სახეობებით, მაგალითად ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არ არის და შესაძლებელია, რომ ჭალაში იყოს კეთილშობილი კავკასიური ირემი და შველი. მხოლოდ გარეული ღორის, კურდღლისა (რომელიც ეპიზოდურად შემოდის ჭალის ტყეში) და ხოხბის (რომელიც საჭიროებს დამატებითი აღწარმოების ქმედებებს, კერძოდ, ტერიტორიაზე შემოყვანას და განსახლებას) ხარჯზე ნაკლებ სავარაუდოა, რომ სამონადირეო მეურნეობა ოდესმე გახდეს რენტაბელური. ამიტომ საჭიროა სათანადო აქტივობების განხორციელება, მათ შორის ცხოველთა სახეობების აღწარმოება, ტერიტორიაზე შემოყვანა, რათა მოხდეს სრულფასოვანი და მდგრადი ნადირობა, რაც შემოსავლის მომტანიც იქნება, მიმზიდველი გახდება ნადირობისთვის, ასევე ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვის ქმედებების განხორციელებასაც შეუწყობს ხელს, რისი ვალდებულებაც აკისრია ლიცენზიანტს. აღნიშნულის თაობაზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ, შესაბამის ქვეთავში.

მონაცემები ცხოველთა სახეობების საბინადრო და სამიგრაციო აქტივობების შესახებ:

გარეული ღორი: სავარგულის ტერიტორიაზე შემოდის ეპიზოდურად ზაფხულის პერიოდში, როდესაც შინაური პირუტყვი გაყვანილია საზაფხულო საძოვრებზე. მიგრირებს მთელი წლის განმავლობაში; ამასთან მეურნეობის ტერიტორიაზე არის ადგილობრივი მცირე პოპულაციაც.

კურდღელი: ბინადრობს სავარგულის ტყეველიანსა და ბუჩქნარში რაც წარმოადგენს მისთვის კარგ თავშესაფარს;

მგელი: სავარგულის ტერიტორიაზე მისი შემოსვლა-გასვლა შეიძლება დავახასიათოდ, როგორც ეპიზოდური ხასიათის მოძრაობა. ზოგადად თავს აფარებს ჭალის ტყეს;

მელა: მოძრაობს სავარგულის მთელ ფართობში. ჭალის ტყის ბინადარია;

ტურა: მოძრაობს სავარგულის მთელ ფართობში. ჭალის ტყის ბინადარია;

მაჩვი: მოძრაობს სავარგულის მთელ ფართობში. ჭალის ტყის ბინადარია;

ენოტი: ბინადრობს სავარგულის მთელ ტერიტორიაზე ჭალის ტყეში არსებულ ფუღურეოიან ხეებში, მეჩხერებში და არადამშრალ წყალსატევებში;

ნუტრია:	მოძრაობს მდინარეების სანაპირო ზოლის გაყოლბაზე, შედარებით დაჭაობებულ ადგილებში და ლელქაშებში;
მაჩვზღარბა	მოძრაობს სავარგულის მთელ ფართობში. გვხვდება ქვეღორღილებში, სოროებში, ხის, მორის, ჯირკის ფუღუროებში.
კოლხური ხოხობი:	ბინადრობს ჭალის ტყის და ბუჩქნარის სავარგულში, მცირე რაოდენობით გვხდება ლელიან-ლაქაშიანებში;
ქედანი, გარეული მტრედი, გილიო (ან გვიძინი), ჩვეულებრივი გვრიტი:	ბინადრობენ ჭალის ტყეში. გვხდება ბაღებში, ველობებში, სახნავებში.
მწყერი, ღალღა	სავარგულის ტერიტორიაზე საბუდარი ადგილები მცირეა. შედარებით მეტი რაოდენობით ბუდობს მოსაზღვრე ტერიტორიებზე.
ტყის ქათამი:	სავარგულის ტერიტორიაში საშემოდგო გადაფრენისას შეიძლება დარჩეს ჭალაში ერთი თვით ან მეტი დროით.
წყალმცურავი სანადირო ფრინველები:	ძირითადად იზამთრებენ დალის მთის წყალსაცავში და საკვების მოპოვების დროს იშლებიან მდინარე იორის მთელ ჭალაში. საგაზაფხულო გადაფრენის დროს ისვენებენ ან საერთოდ არ ჩერდებიან მოკლე დროის ხანგრძლივობით.
ჭაობის ფრინველები (ჩიბუხა, მელოტა):	მცირე რიცხოვნობა იზამთრებს ჭალის ლელიან-ლაქაშიანსა და ბუჩქნარიან ადგილებში; საგაზაფხულო გადაფრენის პერიოდში რჩებიან ორი კვირიდან ერთ თვემდე, ხოლო საშემოდგომო გადაფრენისას ისვენებენ ერთი კვირამდე.

დ.გ) სანადირო ცხოველების დასახლების სიმჭიდროვე შესაფერის საბინადრო სავარგულების ტერიტორიაზე და ტიპოლოგიურ ერთეულებში;

სამონადირეო მეურნეობაში წარმოდგენილია სხვადსხვა კატეგორიის სავარგულების ოპტიმალური ტევადობა, რაც გულისხმობს - სანადირო ცხოველების თოთოეული სახეობის დასახლების სიმჭიდროვეს, ოპტიმალურ რიცხოვნობას ფართობის გარკვეულ ერთეულზე.

გარეული ცხოველების საბინადრო სავარგულების არსებობის პირობების ხარისხის შეფასება სავარგულების ტევადობის მაჩვენებლებში აისახება შემდეგნაირად:

ცხრილი N11

N	სახეობის დასახელება		კონკრეტული სახეობისათვის არსებული საბინადრო სავარგულის ფართობი (ჰა)	არსებული რიცხოვნობა	არსებული რიცხოვნობის დასახლების სიმჭიდროე 100 ჰა-ზე
	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება			
1	გარეული ღორი	Sus scrofa	550	45	8
2	კურდღელი	Lepus europeus	500	62	12
3	მგელი	Canis lupus	820	6	1
4	მელა	Vulpes vulpes	820	5	1
5	მაჩვი	Meles meles	820	35	4
6	ტურა	Canis aureus	820	30	2

7	ენოტი	Procyon lotor	820	55	5
8	ნუტრია	Myocastor coypus	მდინარის 10კმ	22	2 (მდინარის 1კმ)
9	კოლხური ხოხობი	Phasianus colchicus	620	400	64
10	მაჩვზღარბა	Hystrix indica	820	10	3

დ.დ) სანადირო ცხოველების დაცვა, აღწარმოება და სამეურნეო გამოყენება;

სამონადირეო მეურნეობის წარმატებული ფუნქციონირების, მართვისათვისა და სანადირო ცხოველების საბინადრო პირობების ხარისხის დადგენისათვის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს სავარგულების მდგომარეობის შეფასება, დაცვის მუდმივი კონტროლი, მათზე სეზონური დაკვირვებები და აღრიცხვის მეთოდოლოგიური წარმოება. ლიცენზირებულ ტერიტორიაზე დღემდე ხორციელდება სავარგულების ფიზიკური დაცვა და არსებობის შემთხვევაში ბრაკონიერული ქმედებების აღკვეთა. სანადირო ცხოველების საბინადრო სავარგულების ხარისხის ამაღლების მიმართულებით უმჯობესდება და დაგეგმილია კვების, თავშესაფრის, ბუდობის, ბუნაგობის და ნამატის გამოზრდის ხელშემწყობი პირობები. კონტროლზეა დაავადებათა (არსებობის შემთხვევაში) პრევენციის აღმოფხვრის საკითხები. სანადირო ცხოველების სამეურნეო პროდუქტიულობის გამოყენება განისაზღვრება ყოველწლიურად მოპოვებისათვის დაშვებული რიცხოვნობის გათვალისწინებით. ასეთი დნაკარგი არ უნდა აღემატებოდეს იმაზე მეტს, რისი შევსებაც შემდგომში ბუნებრივი პირობების ხარჯზე ვეღარ მოხერხდება.
მაგალითად:

ცხრილი N12

N	მაჩვენებლის დასახელება	სანადირო ცხოველები									
		გარეული ღორი	ეურდღელი	მგელი	მელა	მაჩვი	ტყრა	ენოტი	კოლხური ხოხობი	მაჩვზღარბა	ნუტრია
1	შესაფერისი საბინადრო სავარგული	550	500	820	820	820	820	820	620	820	მდინარის 10 კმ
2	საერთო რიცხოვნობა	45	62	6	5	35	30	55	400	10	22
3	მოპოვების ნორმა %	35	60	50	50	20	60	100	50	100	100
4	მოპოვების ოდენობა	15	37	3	2	7	10	45	200	25	22

- სანადირო ცხოველების ბიოლოგიური და სამეურნეო პროდუქტიოლობის **სავარაუდო** ნორმები:

სამონადირეო სავარგულების ბიოლოგიური პროდუქტიულობა წარმოადგენს სანადირო ცხოველების წლიური სიცოცხლისუნარიანი ნამატის მიღებას და შენარჩუნებას.

ცხრილი N13

N	სახეობის დასახელება		შეფარდება მამრი ÷ მდედრი	სიმწიფის ასაკი მამრი ÷ მდედრი	ნამატი ერთ ბუდობაზე	წლიური ნამატის რაოდენობა	აღწარმოების დონე %	წლიური ბუნებრივი ნამატი %	წლიური საშ. მატება %	მოპოვების ნორმა %
	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება								
1	გარეული ღორი	Sus scrofa	$\frac{1:2}{1:5}$	$\frac{3}{1.5-2.5}$	3-7	1-3	100-300	40-100	20-80	20-60
2	კურდღელი	Lepus europeus	1 : 1	$\frac{1}{0.5}$	2-6	1-5	100-500	80-150	60-100	40-80
3	მგელი	Canis lupus	1 : 1	$\frac{2.5-3}{1.5}$	4-12	2-6	400-500	100-150	50-100	50-80
4	მელა	Vulpes vulpes	1 : 1	$\frac{1-1.5}{1}$	2-6	1-4	200-400	100-300	70-150	20-70
5	მაჩვი	Meles meles	1 : 1	$\frac{2}{1}$	3-5	1-2	100-300	50-150	30-80	15-30
6	ტურა	Canis aureus	1 : 1	$\frac{2-3}{1-1.5}$	2-8	1-5	300-500	100-200	50-100	50-80
7	ენოტი	Procyon lotor	1 : 1	$\frac{2}{1}$	2-6	1-3	100-200	50-100	20-100	50-100
8	ნუტრია	Myocastor coypus	1 : 1	$\frac{2}{1}$	4-6	1-4	100-200	50-100	20-50	50-100
9	მაჩვზღარბა	Hystrix indica	1 : 1	$\frac{2}{1}$	1-2	1	100-200	50-100	20-100	50-100
10	კოლხური ხოხობი	Phasianus colchicus	$\frac{1:2}{1:6}$	$\frac{2}{1}$	4-6	1-6	200-600	100-200	50-150	20-80

დ.ე) შესაფერის საბინადრო სავარგულებში მობინადრე ცხოველების პოტენციალური და ოპტიმალური რიცხოვნობა და დასახლების სიმჭიდროვე;

შესაფერისი სამონადირეო სავარგულების ფართობში შეიძლება იბინადრონ მხოლოდ იმ რაოდენობის სანადირო ცხოველებმა რამდენი საარსებო სივრცეც გააჩნია ამა თუ იმ სახეობას.

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე შესაფერისი საბინადრო სავარგულებში მობინადრე ცხოველთა გარემოება განხილულია წინამდებარე გეგმაში. სავარგულების ხარისხიანი მდგრადობა ხელს უწყობს ლიცენზირებულ ტერიტორიაზე მობინადრე ნადირ-ფრინველის პოტენციალური და ოპტიმალური რიცხოვნობის შენარჩუნებას.

ქვემოთ განხილულია სამონადირეო მეურნეობის შესაფერის საბინადრო სავარგულებში მობინადრე ცხოველების პოტენციური და ოპტიმალური რიცხოვნობის ***ზოგადი მაჩვენებელი.***

ცხრილი N14

N	სახეობის დასახელება		ცხოველთა პოტენციალური, ოპტიმალური რიცხოვნობა ყოველ 1000 ჰა-ზე ბონიტეტის მაჩვენებლების შესატყვისად					ოპტიმალური რიცხოვნობა შესაფერისი სავარგულების 100 ჰა-ზე	შესაფერის სავარგულების ფართობი ჰა	არსებული რიცხოვნობა შესაფერისი სავარგულების ფართობზე
	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	I	II	III	IV	V			
1	გარეული ღორი	Sus scrofa	16	12	8	4	2	1.2	550	45
2	კურდღელი	Lepus europeus	150	100	7	35	15	1,5	500	62
3	მგელი	Canis lupus	2	1	0.6	0.3	0.1	0.1	820	6
4	მელა	Vulpes vulpes	25	15	10	5	2	1	820	5
5	მაჩვი	Meles meles	12	8	5	5	1	1.2	820	35
6	ტურა	Canis aureus	25	15	10	5	2	0.5	820	18
7	ენოტი	Procyon lotor	15	10	8	2	1	0.8	820	45
8	ნუტრია	Myocastor coypus	10	7	**4**	4	1	0.4	(მდინარის 10კმ)	22
9	კოლხური ხოხობი	Phasianus colchicus	220	120	90	45	20	9	620	400
10	მაჩვზღარბა	Hystrix indica	20	15	9	3	2	0.9	820	25

- სანადირო ცხოველების ზრდადობა/კლებადობის დინამიკა წლების (პერიოდი: ბოლო სამი წელი) მიხედვით:

ცხრილი N15

ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	წელი		
		2022	**2023**	**2024**
გარეული ღორი	Sus scrofa	5	7	10
კურდღელი	Lepus europeus	55	48	56
მგელი	Canis lupus	2	3	5
მელა	Vulpes vulpes	15	10	5
მაჩვი	Meles meles	12	15	25
ტურა	Canis aureus	30	15	13
ენოტი	Procyon lotor	23	25	28
ნუტრია	Myocastor coypus	18	22	26
მაჩვზღარბა	Hystrix indica	35	40	50
კოლხური ხოხობი	Phasianus colchicus	450	400	420

სამონადირეო მეურნეობის მიერ ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე ყოველწლიურად ხდება მტაცებელი ცხოველების რიცხოვნობის რეგულირება, კვოტის ფარგლებში ნადირობის სახით, რაც ხელს უწყობს სანადირო ნადირ-ფრინველის პოპულაციის ზრდის მაჩვენებლის ხარისხის ამაღლებას.

დ.ვ) ბიოტექნიკური ღონისძიებები - სანადირო ცხოველების დაცვის შენარჩუნების, გამრავლების და განსახლების ხელის შემწყობი ღონისძიებები, სანადირო ცხოველების საბინადრო პირობების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებები;

ბიოტექნიკური ღონისძიებების კომპლექსური მიზანდანიშნულება თითოეულ კერძო შემთხვევაში, პირობითად შეგვიძლია განვიხილოთ ორ ჯგუფად:

- ღონისძიებები, მიმართული სანადირო ცხოველების საბინადრო სავარგულებში არსებობის პირობების ხარისხის გაუმჯობესებაზე, სადაც უმჯობესდება კვების, თავშესაფრის, ბუდობის და ბუნაგობის, ნამატის გამოზრდის და სეზონური ადგილგადანაცვლების პირობები.
- ღონისძიებები, მიმართული უშუალოდ გარეული ცხოველების დაცვაზე, შენარჩუნებაზე, გამრავლებასა და განსახლებაზე, სადაც ხორციელდება სანადირო ცხოველების სახეობრივი სიმდიდრის რიცხოვნობის გაზრდა, სავარგულებში განსახლება. საჭიროებისამებრ ხელოვნური მოშენება.

სამონადირეო მეურნეობაში სანადირო ცხოველების დაცვა, შენარჩუნება, აღწარმოება, რაციონალური გამოყენება და ბიოტექნიკური ღონისძიებების ჩატარება ემსახურება გარეულ ცხოველების რიცხოვნობის მდგრად მდგომარეობას.

სამონადირეო მეურნეობის სავარგულები ძირითადად წარმოადგენს ჭალის ტყეს. არსებული გარეული ნადირ-ფრინველის საბინადრო პირობების მდგომარეობა დღეის მდგომარეობით

დამაკმაყოფილებელია. მონიტორინგით (მონიტორინგის გეგმაში გათვალისწინებულია საბინადრო გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებაც) თუ გამოვლინდა პირობების გაუარესება, დაიგეგმება და გატარდება სათანადო, დამატებითი ქმედებები. მართვის გეგმაში კი შეტანილი იქნება ცვლილება, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ბიოტექნიკური ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ, შესაბამის თავში.

დ.ზ) სანადირო სამეურნეო გამოყენება, შესაძლებელი მოპოვების კვოტები; სამონადირეო მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალი;

- სანადირო ცხოველების **სავარაუდო** სამეურნეო გამოყენება სამონადირეო მეურნეობის სავარგულებში:

ცხრილი N16

N	სახეობის დასახელება		ოპტიმალური რიცხოვნობა 100 ha	სავარგულის ფართობი (ha)	არსებული რიცხოვნობა	მოპოვების ნორმა %	წლიური სავარაუდო სამეურნეო გამოყენება
	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება					
1	გარეული ღორი	Sus scrofa	1.2	550	45	35	15
2	კურდღელი	Lepus europeus	1.5	500	62	60	37
3	მგელი	Canis lupus	0.1	820	6	50	3
4	მელა	Vulpes vulpes	1	820	5	50	2
5	მაჩვი	Meles meles	1.2	820	35	20	7
6	ტურა	Canis aureus	0.5	820	18	60	10
7	ენოტი	Procyon lotor	0.8	820	45	100	45
8	მაჩვზღარბა	Hystrix indica	0.9	820	25	100	25
9	ნუტრია	Myocastor coypus	0.4	მდინარის 10 კმ	22	100	22
10	კოლხური ხოხობი	Phasianus colchicus	9	620	400	50	200

სამონადირეო მეურნეობის სავარგულებში ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე, სანადირო ცხოველებზე შეფასებებისა და კანონით დადგენილი ნადირობის სეზონის (გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისას) დროს შესაძლებელია დაიშვას ნადირობა და ცხოველთა მოპოვებისათვის განისაზღვროს მათი სულადობის რაოდენობის და პროცენტული მაჩვენებლის გათვალისწინებით.

○ გარეული ცხოველების მოპოვების **შესაძლებელი** კვოტები:

ცხრილი N17

N	სახეობის დასახელება		არსებული რიცხოვნობა	არსებული რიცხოვნობის დასახლების სიმჭიდროვე 100 ჰა-ზე	წლიური მოპოვების ნორმა%	მოპოვების შესაძლებელი რაოდენობა
	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება				
1	გარეული ღორი	Sus scrofa	45	8	35	15
2	კურდღელი	Lepus europeus	62	12	60	37
3	მაჩვი	Meles meles	35	4	20	7
4	მელა	Vulpes vulpes	5	1	50	2
5	ტურა	Canis aureus	18	2	60	10
6	მგელი	Canis lupus	6	1	50	3
7	ენოტი	Procyon lotor	45	5	100	45
8	კოლხური ხოხობი	Phasianus colchicus	400	64	50	200
9	მაჩვზღარბა	Hystrix indica	25	3	100	25
10	ნუტრია	Myocastor coypus	22	მდინარის 10 კმ	100	22

სამონადირეო მეურნეობის მიერ გარეული ცხოველების მოპოვების კვოტების მოთხოვნა მომდევნო წლებისთვის შესაძლოა შეიცვალოს სხვა რიცხობრივი მაჩვენებლებით, იმ პერიოდში ცხოველთა პოპულაციის მდგომარეობისა და ჩატარებული აღრიცხვის მონაცემების გათვალისწინებით.

ლიცენზირებულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის ნადირობა მოხდება ნადირობისთვის მისაღებ სეზონზე და ვადებში, კანონმდებლობით დადგენილი წესების მკაცრი დაცვით.

○ სამონადირეო მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალი:
ერთ მონადირე ტურისტზე მომსახურების **სავარაუდო** ხარჯები:

ცხრილი N18

N	მომსახურების დასახელება	დღიური მომსახურების ფასი (ლარი)
1	ტრანსპორტირება	250

2	გამყოლი, მეგზური	50
3	კვება	50
4	ღამის თევა	50
სულ ხარჯი		**400**
•	რეინჯერის ყოველთვიური ხელფასი	400
სულ ხარჯი		**400**

ნადირობის სეზონზე **სავარაუდო** ხარჯები და შემოსავლები სანადირო ცხოველების (ერთი ინდივიდი) რეალიზაციიდან:

ცხრილი N19

N	სახეობის დასახელება	რაოდ. თანხა	კვოტა	ხარჯი	შემოსავალი
			სულ თანხა (ლარი)	მოსაკრებელი (ლარი)	მოგება (ლარი)
1	გარეული ღორი	სული	1	1	1
		თანხა	700	100	600
2	კურდღელი	სული	1	1	1
		თანხა	40	2	38
3	მგელი	სული	1	1	1
		თანხა	200	100	100
4	ტურა	სული	1	1	1
		თანხა	50	15	35
5	მელა	სული	1	1	1
		თანხა	150	50	100
6	ენოტი	სული	1	1	1
		თანხა	10	1	9
7	კოლხური ხოხობი	სული	1	1	1
		თანხა	50	15	35
8	მაჩვი	სული	1	1	1
		თანხა	30	20	10
8	მაჩვზღარბა	სული	1	1	1
		თანხა	10	1	9
სულ ჯამი			1240	304	936

ე) სამონადირეო მეურნეობის ზონირება: სამონადირეო მეურნეობის დაყოფა შიდასამეურნეო დანიშნულების მიხედვით: სანადირო უბანი, აღკვეთილი, აღწარმოების უბანი, ნადირ-ფრინველის საშენი. დეტალური რუკა, რომლის მახასიათებლები განსაზღვრულია ამ წესის მე-3 მუხლით;

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და წონასწორობის შენარჩუნების მიზნით (აღკვეთილისა და აღწარმოების უბნები) სავარგულების საერთო ფართობის 25%-მდე უნდა განეკუთვნოს მიზნობრივ ტერიტორიულ ერთეულებს. ამისათვის სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია, შიდასამეურნეო დანიშნულების მიხედვით, უნდა დაიყოს შემდეგ ერთეულებად (სქემა მოცემულია თანდართულ რუკაზე):

- აღკვეთილი უბანი: NN5,10 კვარტალი - 131 ჰა.
  სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია რომელიც განსაზღვრულია გარეული ნადირ-ფრინველის ოპტიმალური რიცხოვნობის აღდგენისა და გამრავლების ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის. ამ მონაკვეთზე მთელი წლის განმავლობაში ნადირობა აკრძალულია.
- აღწარმოების უბანი: NN1,2,3,7,9 კვარტალი - 147 ჰა.
  სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია რომელიც განსაზღვრულია გარეული ნადირ-ფრინველის ბუდობის, გამრავლების, ნამატის მიღებისა და გამოზრდის ხელშეწყობისათვის. ამ მონაკვეთზე მთელი წლის განმავლობაში ნადირობა აკრძალულია.
- სანადირო უბანი: NN1,2,3,5,6,7,8,9,10 – 542 ჰა.
  სამონადირეო მეურნეობის ტერიოტორიის ამ უბანზე დაშვებულია ლიცენზიით ნადირობა, დამტკიცებული კვოტების საფუძველზე.
- ნადირ-ფრინველის საშენი - გარეული ღორის საშენი. კვრტ. 1, ლტრ. 7; სახოხბე კვრტ. 2, ლტრ. 1; გარეული იხვის საშენი კვრტ. 2, ლტრ. 1.

ვ) ცხოველთა აღრიცხვა და მონიტორინგი, რომელშიც აისახება:

ვ.ა) მონიტორინგის პროგრამა (მონიტორინგის საქმიანობათა გეგმა). მონიტორინგის მიზანი, მონიტორინგის ობიექტები, მეთოდები, მონიტორინგის გეგმა წლების მიხედვით. მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს სანადირო და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სხვა სახეობებზე, შესაბამისი შიდა მონიტორინგის დოკუმენტაციის წარმოებით (ეგერის დღიურები, მონიტორინგის ჟურნალი და სხვა); რომელსაც აგრეთვე უნდა დაერთოს ფოტომასალა ან/და ვიდეომასალა GPS კოორდინატების აღნიშვნით (დროისა და თარიღის მითითებით), ასევე კვლევის განმახორციელებელი სპეციალისტის/სპეციალისტების შესახებ ინფორმაცია;

მონიტორინგის პროგრამა შედგენილია განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მიხედვით. მონიტორინგის ძირითად მიზანს წარმოადგენს სამონადირე მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე დაკვირვების წარმოება, მათი მდგომაროების შეფასება. აგრეთვე მონიტორინგი განხორციელდება იმ პარამეტრების მიხედვით, რაც საჭიროა გარეულ ცხოველთა მდგომარეობის შესაფასებლად, უარყოფითი ფაქტორების აღმოსაფხვრელად, დამატებითი - მდგომარეობის გამოსწორება-გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა-განსახორციელებლად და სხვა. მნიშვნელოვანია ასევე დაკვირვება ცხოველთა საბინადრო გარემოს მდგომარეობაზე, სანადირო და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველთა სახეობებთან მიმართებით. მონიტორინგი განხორციელდება შესაბამისი მონიტორინგის შიდა დოკუმენტაციის წარმოებით (ეგერის დღიური, მონიტორინგის ჟურნალი და სხვ.), რომელსაც, აგრეთვე დაერთვება ფოტომასალა ან/და ვიდეომასალა GPS კოორდინატების აღნიშვნით, ან დროის და თარიღის მითითებით. მონიტორინგის შედეგები გამოყენებული იქნება სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმისა და სალიცენზიო პირობების მოთხოვნების შესრულების მიზნებისთვის, მათ შორის ნადირობის ობიექტების მოპოვების კვოტების დადგენისას (ნადირობის პროცესის წარსამართავად), ყოველწლიური ანგარიშგების საწარმოებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვემოთ მოცემულია მონიტორინგის ერთწლიანი გეგმა (ცხრილი N20). ამავე სქემით მონიტორინგი განხორციელდება 10 (ათი) წლის განმავლობაში, მართვის გეგმის მოქმედების ვადის შესაბამისად. შესაძლებელია მას დაემატოს ის საკითხები, რომლებიც დამატებით (წარმოქმნის შემთხვევაში), შემდგომ პერიოდისათვის იქნება განსახორციელებელი. ამ შემთხვევაში ეცნობება სამინისტროს და მოთხოვნისამებრ შევა ცვლილება მართვის გეგმაში, კანონმდებლობის შესაბამისად.

ცხრილი N20

N	**სამონიტორინგო საკითხები**	**მონიტორინგის პერიოდი**	**შემსრულებელი**	**რეკომენდაცია / ქმედება**
1	სამონადირე მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობების ტერიტორიაზე არსებობაზე დაკვირვება	წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული / შემოდგომა)	ნადირმცოდნე, რეინჯერი	აღრიცხვის ჩატარება და შედეგების ანალიზი
2	სამონადირე მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობების მათი გამრავლება / განვითარებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობის დადგენის კუთხით მდგომარეობაზე დაკვირვება	წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული / შემოდგომა)	ნადირმცოდნე, რეინჯერი	საფრთხეების იდენტიფიკაცია და ასეთის შემთხვევაში რეკომენდაციების მომზადება
3	სამონადირე მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე აღწარმოების მიმდინარეობაზე (ამ ქმედებების განხორციელების დაკვირვება	წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული / შემოდგომა)	ნადირმცოდნე, რეინჯერი	ეფექტურობის დადგენა და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა
4	სამონადირე მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე საბინადრო გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვება ჰაბიტატების მიხედვით	წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული / შემოდგომა)	ნადირმცოდნე, რეინჯერი	აღდგენითი ქმედებები
5	სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებულ მცენარეთა მავნე დაავადებების არსებობაზე დაკვირვება (მათ შორის საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილზე)	წელიწადში 1-ჯერ	მეტყევე სპეციალისტი, რეინჯერი	

6	სავარგულის ბიოტექნიკური კეთილმოწყობის მიმდინარეობაზე დაკვირვება	ყოველწლიურად	რეინჯერი	
7	ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებების ეფექტურობაზე დაკვირვება	წელიწადში სეზონურად	მეტყევე სპეციალისტი, რეინჯერი	ხანძარსაშისი კერების დროულად გამოვლენა და გაწმენდა
8	სამონადირე მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე დაავადებების არსებობაზე და მისი აღმოფხვრისათვის განხორციელებულ ქმედებებზე დაკვირვება	წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული / შემოდგომა)	ნადირმცოდნე, მოწვეული ვეტერინარი, რეინჯერი	
9	ინვაზიური სახეობების რიცხოვნობაზე დაკვირვება	წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული / შემოდგომა)	ნადირმცოდნე, რეინჯერი	ინვაზიური სახეობების ელიმინაციური ქმედებების განხორციელებისა თვის რეკომენდაციები
10	ნარჩენების მართვის ეფექტურობაზე დაკვირვება	პერიოდულად	რეინჯერი	

ვ.ბ) ცხოველთა აღრიცხვის მეთოდები

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ცხოველების დათვლა და მონიტორინგი ხდება სეზონურად ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში, ბუნებრივი კლიმატური პირობების ხელშეწყობის გათვალისწინებით. აღრიცხვა წარმოებს სანადირო მეურნეობის რეინჯერების ან საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტის (ნადირობისმცოდნე) მიერ. წინასწარ სპეციალურად შემუშავებულ ცხრილებში განხილულ იქნება აღრიცხვის დრო, კვარტლები, მარშრუტის კოორდინატები, სახეობათა ჩამონათვალი, რიცხოვნობა და სხვა.

შესრულებული სამუშაოების მონაცემები აისახება სააღრიცხვო ჩანაწერების დღიურში.

სანადირო ცხოველების დასახლების სიმჭიდროვის და რიცხოვნობის დადგენის მიზნით შემუშავებულია სხვადასხვა სახის აღრიცხვის მეთოდები, მაგ.: ცხოველთა გამორეკვის, ექსკრემენტების ჩანიშვნის, ფოტოხაფანგების, აკუსტიკური, აბსოლუტური, ლენტისებური, ირიბი, კომბინირებული, მოქმედი ბუდეებისა და ბუნაგების აღრიცხვის, ხეზე ნანახი ნაკაწრების ჩანიშვნის და სხვა. გამომდინარე იქიდან თუ რომელი მეთოდია მისაღები, სამონადირეო მეურნეობა იყენებს მისთვის სასურველ აპრობირებულ მეთოდს.

- სააღრიცხვო ბარათის ფორმის ნიმუში, რომელსაც ტრანსექტებზე აღრიცხვისას იყენებენ

დამკვირვებელი (აღმრიცხველი) _____

რიცხვი _____ საკვლევი რეგიონი _____

ტყის კვარტალი N _____ ამინდი _____

დაწყების დრო _____ დამთავრების დრო _____

ტრანსექტის მიმართულება _____

ტრანსექტის სიგრძე _____

N	სახეობა (ობიექტი)	მიახლოებითი ასაკი	სქესი	ობიექტის რაოდენობა (კლასტერი)	პოვნის დრო	შენიშვნა
1						
2						
3						
4						
5						

გარდა ამ ფორმისა, საჭიროებისამებრ, ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენებით მოხდება აღრიცხვები, სხვადასხვა სახეობისთვის. ამ შემთხვევაში შესაბამისი ჩანაწერები გაკეთდება აღმრიცხველების მიერ, სპეციალურ ჟურნალში, ან ზემოთ მოცემულის იდენტურ ფორმაში, სადაც ტრანსექტის ნაცვლად მითითებული იქნება აღრიცხვის მეთოდის შესაბამისი ინფორმაცია, ხოლო სხვა მონაცემები - ფორმის შესაბამისად შეივსება.

აღრიცხვების შედეგად მიღებული მონაცემები გამოყენებული იქნება, როგორც კვოტების დადგენისას, ასევე მონიტორინგის მიზნებისთვის, პრევენციული ქმედებების დაგეგმვა განხორციელებისთვის, აღწარმოებისთვის და ა.შ.

ზ) ცხოველთა დაცვისა და აღწარმოების ღონისძიებები, რომელშიც აისახება:

ზ.ა) ცხოველთა რეინტროდუქციის ან/და რესტოკინგის ღონისძიებები;

ლიცენზირებულ ტერიტორიაზე სანადირო ცხოველების შემოყვანა და განსახლება უნდა განხორციელდეს მიზნობრივი შერჩევის გზით. ცხოველების აღწარმოების, პოპულაციის აღდგენის, ასევე მათი სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე შემოყვანის მიზნით დაგეგმილი მიმართულებები ასახულია წინამდებარე მართვის გეგმაში. ამ გეგმის მიხედვით დაგეგმილი ქმედებების განხორციელების თაობაზე წინასწარ ეცნობება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს, თუ ეს საჭიროებს დამატებით შეთანხმებას, ან ინფორმაციის წინასწარ მიწოდებას. ზოგადად ანგარიშგება კი განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუ საჭირო გახდება მართვის გეგმით გაუთვალისწინებელი ქმედებების (იგულისხმება ცხოველთა რეინტროდუქციის, ან/და რესტოკინგის, ან სხვა შემოყვანა-განსახლება-აღდგენის ქმედებები) განხორციელება, ან/და კონკრეტული გეგმის მომზადება,

სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმაში შეტანილი იქნება სათანადო ცვლილება/ები, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

დაგეგმილია სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე შემოვიყვანოთ შემდეგი სახეობის ცხოველები:

ძუძუმწოვრები:

გარეული ღორი (Sus scrofa) - სულ, 2025 წლის ბოლომდე პერიოდისთვის არანაკლებ 80 ინდივიდი:

აღნიშნული ქმედების მიზანია სახეობის, მისი პოპულაციის მდგომარეობის გაუმჯობესება და მდგრადი ნადირობის უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია გარეული ღორის ინდივიდების შემოყვანა ველური ბუნებიდან, კერძოდ, შესაძლებელია განხილული იყოს კახეთის რეგიონიდან (ჯანსაღი პოპულაციის არსებობის შემთხვევაში), ან მისგან მნიშვნელოვნად დაცილებულ რომელიმე რეგიონში არსებული სხვა სამონადირეო მეურნეობიდან/ებიდან, გარეული ღორის ეგზემპლარების ამოღება და შემოყვანა სამონადირეო მეურნეობაში. ამასთან, გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვნი გარემოება, რომ სალიცენზიო ფართობზე გაშვებამდე ცხოველები შემოწმებული უნდა იყოს დაავადებების არსებობის კუთხით, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმატებული ნადირობისა და ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის, რომ არაფერი ითქვას ადამიანთა ჯანმრთელობისათვის და სამეურნეო საქმიანობისთვის მოსალოდნელ საფრთხეებზე.
პოპულაციის აღდგენის ქმედებებისას გათვალისწინებული იქნება ზემოთ მოცემული მოთხოვნები.
გარდა ამისა, 2025 წლამდე უკვე მოეწყო გარეული ღორის საშენი.

კავკასიური კეთილშობილი ირემი (Cervus elaphus) – 2028 წლამდე უნდა მოეწყოს ირმის საშენი და შემოყვანილ იქნას არანაკლებ 10 ინდივიდი

აღნიშნული სახეობა შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ და მთელი ქვეყნის მაშტაბით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფია. სახეობის პოპულაციების რაოდენობა კავკასიის მსაშტაბით უკიდურესად შემცირებულია. აღნიშნული ქმედების საბოლოო მიზანია სახეობის, მისი პოპულაციის მდგომარეობის გაუმჯობესება. კეთილშობილი ირმის აღდგენის დეტალური გეგმა, საკითხის ყოველმხრივ შესწავლა-გაანალიზების შემდგომ, ვადებითა და სხვა დეტალების მითითებით, მომზადდება დამატებით და შესაბამისი ცვლილებები შეტანილი იქნება წინამდებარე მართვის გეგმაში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სახეობის ეგზემპლიარების მომწოდებლების ძიება კავკასიის რეგიონის ქვეყნებში, ვინაიდან შემოსაყვანად განსაზღვრულია მხოლოდ კეთილშობილი კავკასიური ირემი. ირმისებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენელთა ქვეყანაში შემოყვანა, მათი ბუნებაში გაშვების მიზნით, დაუშვებელია.

შველი (Capreolus capreolus) - სულ 2025 წლის ბოლომდე პერიოდისთვის არანაკლებ 10 ინდივიდი

შველი ამ ეტაპზე სალიცენზიო ტერიტორიის სავარგულში არ გვხვდება. აღნიშნული ქმედების საბოლოო მიზანია სახეობის, მისი პოპულაციის მდგომარეობის გაუმჯობესება. გამომდინარე შველის სტაბილური პოპულაციების საქართველოში არსებობიდან, სხვა ქვეყნებში მოძიებას არ საჭიროებს. საჭირო იქნება სამინისტროდან ნებართვის მიღება შველის ბუნებიდან ამოღებისათვის, მისი სამონადირეო მეურნეობაში გადმოსაყვანად, შემდგომი გამრავლების მიზნით, ან სხვა სამონადირეო მეურნეობიდან შემოყვანა. 2028 წლამდე უნდა მოეწყოს შველის საშენი. საშენის მოწყობის და შესაბამისად, შველის აღდგენის დეტალური გეგმა, საკითხის ყოველმხრივ შესწავლა-გაანალიზების შემდგომ, ვადებითა და სხვა დეტალების მითითებით, მომზადდება დამატებით და შესაბამისი ცვლილებები შეტანილი იქნება წინამდებარე მართვის გეგმაში. სავარაუდოდ შველის დაჭერა განხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მოსაძიებელია სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ამ საქმიანობის უზრუნველყოფას მაღალ დონეზე.

ფრინველები:

კოლხური ხოხობი *(Phasianus colchicus)* – 2028 წლამდე უნდა მოწყობილიყო, მაგრამ 2024-ში უკვე მოეწყო კოლხური ხოხბის საშენი. 2024 წლიდან ყოველწლიურად, ლიცენზიის მოქმედების განმავლობაში უნდა მოხდეს 1500 ფრთა ხოხბის გამრავლება და სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე გაშვება.

ხოხბის სადედე ინდივიდების შემოყვანა მოხდება სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს საშენიდან. აღნიშნული ქმედების საბოლოო მიზანია სახეობის, მისი პოპულაციის მდგომარეობის გაუმჯობესება, მდგრადი ნადირობის უზრუნველყოფა. ამჟამად მოწყობილია და ფუნქციონირებს ხოხბის საშენი. მიუხედავად ამისა, საჭიროების შემთხვევაში, კოლხური ხოხბის აღდგენის დეტალური გეგმა, საკითხის ყოველმხრივ შესწავლა-გაანალიზების შემდგომ, ვადებითა და სხვა დეტალების მითითებით, მომზადდება დამატებით და შესაბამისი ცვლილებები შეტანილი იქნება წინამდებარე მართვის გეგმაში. 2024 წელს უკვე გამრავლებულია საშენში და გაშვებულია სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე 1500 ფრთა ხოხობი. დაუშვებელია სხვა სახეობის ხოხბების (მანჯურიული, თეთრყელა ევროპული და სხვა), ან ჰიბრიდული ეგზემპლარების საშენში გამრავლება და ტერიტორიაზე გაშვება.

გარეული იხვი (Anas platyrhynchos) – 2028 წლამდე უნდა მოწყობილიყო გარეული იხვის საშენი, მაგრამ 2024-ში უკვე მოხდა გარეული იხვის 10 ოჯახის შემოყვანა და მოხდა გაშვება მათთვის მოწყობილ სპეციალურ ტბორში ბუნებრივი გზით გამრავლების მიზნით. ნამატის დათვლა დაგეგმილია ყოველი წლის ივნისის ბოლოს. ყოველწლიურად, ლიცენზიის მოქმედების განმავლობაში უნდა მოხდეს 200 ფრთა გარეული იხვის გამრავლება. 2024 წელს უკვე გაშვებულია სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე 200 ფრთა გარეული იხვი.

სადედე ინდივიდების შემოყვანა დამატებით მოხდება სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს საშენიდან. აღნიშნული ქმედების საბოლოო მიზანია სახეობის, მისი პოპულაციის მდგომარეობის გაუმჯობესება. საკითხი ითხოვს სალიცენზიო ფართობზე არსებული წყლით დაფარული მცირე ფართობების - ე.წ. „ფშანების“ ნაწილობრივ ამოსუფთავებას ლერწმის/ლელქაშებისგან და შესაძლებელია მათი დათევზიანება შემდგომ ვიზიტორებისთვის სპორტულ/რეკრეაციული თევზჭერის მიზნით. ასევე მნიშვნელოვანი იქნება ინვაზიური სახეობის - ენოტის პოპულაციის მაქსიმალური შემცირება. გარეული იხვის ყორულის პოპულაციის აღდგენის დეტალური გეგმა, საკითხის ყოველმხრივ შესწავლა-გაანალიზების შემდგომ, ვადებითა და სხვა დეტალების მითითებით, მომზადდება დამატებით და შესაბამისი ცვლილებები შეტანილი იქნება წინამდებარე მართვის გეგმაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასევე დაგეგმილია ევროპასა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სანადირო მეურნეობებში ფართოდ გავრცელებული სანადირო სახეობის, ირმისებრთა ოჯახის წარმომადგენლის - ირემლაღის (Dama dama) შემოყვანასა და ფერმული წესით გამრავლებას, შემდგომში მასზე ფასიანი ნადირობის საწარმოებლად.

აღსანიშნავია, რომ ირემლაღი ჰყავთ ევროპის ყველა ქვეყანაში, მათ შორის როგორც შორეულ ირლანდიასა და ესპანეთში, ასევე ჩეხეთის, უნგრეთის, ლიეტუის, საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის, სლოვენიის, იტალიის, საბერძნეთის, ბულგარეთის, თურქეთის და სხვა ქვეყნების სამონადირეო მეურნეობებში, როგორც შეღობილ სივრცეებში, ასევე გაშვებული ბუნებაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ცხოველი წარმოშობით არის არა ევროპიდან, არამედ ჩვენი მეზობელი რეგიონიდან - ირანიდან (წყარო: ბრიტანული ენციკლოპედია).

ირემლაღის შემოყვანით შეღობილ ტერიტორიაში ჩვენში გავრცელებული კეთილშობილი კავკასიური ირმის პოპულაციას არ ექმნება არანაირი საფრთხე შემდეგი მიზეზების გამო:

ა) ირემლაღის შემოყვანით არ ხდება ამ სახეობის გარემოში ინტროდუქცია, რადგან ორმაგად შემოღობილ ვოლიერში იქნება განთავსებული (იგეგმება მთლიანი სალიცენზიო ფართობის და ასევე ამ სახეობისთვის სპეციალური ვოლიერის მოწყობა, მათ შორის შემოღობვა) და მასზე ნადირობა მკაცრად გაკონტროლდება, ვინაიდან ნადირობა მოხდება მხოლოდ დიდი ზომის ცალკეულ მამრ ეგზემპლიარებზე, ხოლო ფურირმები (მდედრი ეგზემპლიარები) მუდმივად იქნება განთავსებული შიდა ვოლიერში;

ბ) ირემლაღი არ ეჯვარება ჩვენში გავრცელებულ არც ერთ ჩლიქოსან სახეობას და არ წარმოქმნის ჰიბრიდს,

გ) ამ ეტაპზე, საქართველოში ბუნებრივად გავრცელებული კეთილშობილი ირმის პოპულაციის ბოლო ორ ასწლეულში მკვეთრად შემცირებულია (ძირითადად გავრცელებულია მხოლოდ დაცულ ტერიტორიებზე - ლაგოდეხი, ბორჯომ-ხარაგოული, გარდაბნის აღკვეთილი, აგრეთვე თუშეთში), საშუალო დათვლით 1500 ეგზემპლიარამდე. მთლიანად საქართველოში კეთილშობილი ირმის პოპულაცია შესაძლებელია და უნდა აღწევდეს არანაკლებ 80 000 ეგზემპლიარს. *პროფ. ზ. გურიელიძეს განმარტება სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოსთვის ალგეთის დაცულ ტერიტორიაზე კეთილშობილი კავკასიური ირმის საშენის მოწყობის თაობაზე*) მდ. იორის ჭალებში და მიმდებარე ტერიტორიებზე კეთილშობილი ირმის პოპულაცია განადგურებულია წინა საუკუნის დასაწყისში. შესაბამისად ირემლაღი ამ ეტაპზე ვერ გაუწევს კონკურენციას კეთილშობილი ირმის პოპულაციებს, მათი გავრცელების ჰაბიტატებში, მით უფრო რომ ირემლაღი შეყვანილი იქნება შეღობილ ტერიტორიაზე. ირემლაღის შემოყვანით არ ხდება ამ სახეობის გარემოში ინტროდუქცია, რადგან ორმაგად შემოღობილ ვოლიერში იქნება განთავსებული.

დ) ვინაიდან ეს არის შედარებით სუსტი ფიზიკური მონაცემების ცხოველი, ვიდრე კეთილშობილი ირემი, მისი განთავსება შიდა ვოლიერში აუცილებელია, როგორც დამატებითი დაცვა მისი ბუნებრივი მტრებისგან - მტაცებელი სახეობებისგან, (მგელი, ტურა, ფოცხვერი) რისთვისაც მეურნეობა ააშენებს დამატებით 5 ჰა ფართობის შიდა ვოლიერს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობის 820 ჰა ტერიტორია მთლიანად შემოღობილია 200 სმ. სიმაღლის ღობით, დამატებით საჭიროებს ახალი შიდა საშენის 5 ჰა. ფართობის ვოლიერის 300 სმ. სიმაღლის ღობით შეღობვასა და შიგნით თავშესაფრის, საკვებურებისა და სარწყულებლის განთავსებას.

ირემლაღის ასეთ ფართო გავრცელებას მსოფლიოში (იხილეთ ქვემოთ: *ირემლაღის ინტროდუქციისა და გავრცელების რუკა მსოფლიოს ქვეყნებში*) იწვევს რამდენიმე ფაქტორი:

1) მისი უცნაური ფორმის რქები წარმოადგენს დიდი დაინტერესების საგანს მონადირეების მხრიდან და მასზე ფასიანი ნადირობა უფრო მოთხოვნადია, ვიდრე ჩვეულებრივ კეთილშობილ ირემზე.

2) ირემლაღზე ფასიანი ნადირობა, მისი 5 ჰექტრიან საშენ ფერმაში გამრავლების კვალობაზე დაიწყება შემოყვანიდან და პირველი ნამატის მიღებიდან 2 წლის შემდგომ, მხოლოდ მამრ სატროფეო (დიდრქიან) ეგზემპლიარებზე შემდეგი მეთოდით: - ნადირობის მსურველის დაკვეთის შემთხვევაში, შიდა საშენი ვოლიერიდან მოხდება მოსაპოვებლად დაგეგმილი ხარი ირემლაღის ინდივიდის გამოშვება გარე შეღობილი სივრცის სანადიროდ განკუთვნილ ფართობში, სადაც სასროლი კოშკურების მიმდებარედ იქნება სახეობის საყვარელი საკვების - მარცვლეული კულტურების ნათესები. მოპოვება მოხდება სასროლი კოშკურიდან გასროლით. ამ და სხვა ზომების დაცვით გამორიცხულია ირემლაღის ბუნებაში მოხვედრა.

გ) ადვილად მრავლდება ტყვეობის პირობებში.

დ) როგორც უკვე ითქვა, არ ეჯვარება ირმების არც ერთ სახეობას;

ე) მისი შემოყვანით მცირდება წნეხი კეთილშობილ ირემზე (იგულისხმება უკანონო ნადირობა) **რადგან ქვეყანაში ჩნდება ირმისებრზე კანონიერად ნადირობის შესაძლებლობა.**

1. ბუნებაში გავრცელების ისტორიული არეალი
2. *ინტროდუქცია რომის იმპერიის პერიოდში (სამეცნიერ0 წრეების მოსაზრებით)*
3. *ინტროდუქცია 18 – 19 საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში*
4. *ინტროდუქცია მე-20 საუკუნეში სხვადასხვა კონტინენტებზე*

შემოსავლების მიღების მიზნით მეურნეობისთვის მნიშვნელოვანია ევროპული ტიპის სამონადირეო მეურნეობებისთვის დამახასიათებელი ასეთი ქმედებები.

ირემლაღის შემოყვანა იგეგმება ლიეტუის რესპუბლიკიდან, ირემლაღის საშენიდან, არანაკლებ 10 ერთეულის რაოდენობით 2025 წლის ბოლომდე, ლიეტუის მთავარი ვეტერინარული სამსახურის მიერ მომზადებული შესაბამისი სერტიფიკატებისა და სხვა დოკუმენტების წარდგენისა და გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიოსტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შესაბამისი ნაბართვის გაცემის შემდგომ. საჭიროებისამებრ, სხვა დეტალები, მომზადდება დამატებით და წარმოდგენილი იქნება სამინისტროში უშუალოდ შემოყვანის წინა პერიოდში. საჭიროების შემთხვევაში მოხდება წინამდებარე მართვის გეგმაში ცვლილების შეტანა.

ზ.ბ) ბიოტექნიკური ღონისძიებები (სანადირო სახეობების სანაშენეები, დამხმარე თავშესაფრები (ტიპი, მდებარეობა) დაავადებების პროფილაქტიკა, საკვებურების მოწყობა, ცხოველთა საკვებ მცენარეთა გაშენება და სხვ.);

სანადირო ცხოველების დაცვის, შენარჩუნების, გამრავლების, განსახლების და საბინადრო პირობების ხარისხის გაუმჯობესების ხელისშემწყობი ღონისძიებებისათვის საჭიროა ეფექტური ბიოტექნკური ღონისძიებების წარმოება, რისთვისაც საჭიროა სანადირო ნადირ-ფრინველისათვის მაღალი ხარისხის ბიოლოგიური პირობების უზრუნველყოფა.
სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე მოწობილია და შემდგომში მოეწყობა ნადირ-ფრინველის საშენები: გარეული ღორის საშენი. კვრტ. 1, ლტრ. 7; სახოხბე კვრტ. 2, ლტრ. 1; გარეული იხვის საშენი კვრტ. 2, ლტრ. 1.

- გარეული ნადირ-ფრინველის დამატებითი საკვებით უზრუნველყოფა

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია განთავსებულია ჭალის ტყის ზონის ფარგლებში, სადაც ბინადრობენ მისთვის დამახასიათებელი ტიპიური გარეული ცხოველები. სამონადირეო მეურნეობის რეინჯერები სისტემატურად უზრუნველყოფენ მათ დამატებითი საკვების მიწოდებით.

ამ ტიპის სამუშაოები ხელს უწყობს პოპულაციის ზრდის ხარისხის მაღალ მაჩვენებელს, რაც შემდგომში დადებითად მოქმედებს სამონადირეო მეურნეობის სწორი მართვის ფუნქციონირებაზე.

ცხრილი N21

N	გარეული ცხოველების სახეობები	ქვამარილი (კგ)	ნეკერი ოთლიანი (კონა)	თივა (კგ)	მარცვლოვანი საკვები (კგ)	წვნიანი ძირნაყარი (კგ)
1	გარეული ღორი 1 სულზე	1.5 – 2	-	-	50-60	100
2	კურდღელი 80 სულზე	1-1,5	30-40	400 - 500	20-25	40
3	კოლხური ხოხობი 100 ფრთაზე				10	
4	შველი	1-1,5	20	50	20	30
5	კეთილშობილი ირემი და ირმისებრნი	3-5	80	120	50	100

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ცხოველთა სახეობების კვებისათვის ყოველწლიურად ხორციელდება საჭირო კულტურების (მიწავაშლა, ქერი, სიმინდი, ხორბალი და სხვა) დათესვა (ლიცენზირებულ ტერიტორიის ფართობის ტყის სხვადასხვა კვარტლებში (დაახლოებით: 1 კვ-12ჰა; 3 კვ-3ჰა; 6 კვ-4ჰა; 7 კვ-30ჰა; 5 კვ-5ჰა; 10 კვ-9ჰა) ითესება და აუღებელი რჩება სიმინდი, ქერი, ხორბალი, მიწავაშლა);

ზ.გ) საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველთა სახეობების დაცვის, შენარჩუნებისა და აღწარმოების ღონისძიებები;

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობებიდან გხვდება:

1. **ძუძუმწოვრების - 3.**
   1.1 კავკასიური ციყვი;
   1.2 ლელიანის კატა;
   1.3 წავი;
2. **ფრინველების - 8.**
   2.1 ფასკუნჯი;
   2.2 ბატკანძერი (ან წვერიანი სვავი, ყაჯირი, კრავიჭამია);
   2.3 ბექობის (ან თეთრმხრება) არწივი;
   2.4 ველის (ან გრძელფეხა) კაკაჩა;
   2.5 ქორცქვიტა (ან შავთვალა მიმონო, ლევანმიმინო);
   2.6 სვავი;
   2.7 ორბი;
   2.8 ჭოტი;

3. **რეპტილიების - 3.**
   3.1 ხმელთაშუაზღვეთის კუ;
   3.2 დასავლეთის მახრჩობელა;
   3.3 საყელოიანი ეირენისი;
4. **თევზების - 1.**
   4.1 წინააზიური გველანა;

სამონადირეო მეურნეობა ახორციელებს ლიცენზირებულ ტერიტორიაზე არსებული სანადირო და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების ფიზიკურ დაცვას, ბრაკონიერული ქმედებების აღკვეთას. ყურადღება ექცევა სანიტარული ნორმების, დაავადების პრევენციის, ხანძრის დაცვის მიზნით პროფილაქტიკური სამუშაოების განხორციელებას. მიზნობრივად მიმდინარეობს ღონისძიებები სავარგულებში ცხოველების საბინადრო პირობების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კონტროლდება მტაცებელი ცხოველების რაოდენობა, რომლებიც ზიანს აყენებენ, როგორც სასარგებლო სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებს.

ლიცენზირებულ ტერიტორიაზე ნადირობა მიმდინარეობს მხოლოდ სანადირო უბნისთვის მინიჭებულ სავარგულში, რომელიც არ განეკუთვნება აღწარმოებისა და აღკვეთილის უბნებისათვის განკუთვნილ ტერიტორიებს.

ზემოთ აღწერილი ქმედებები ხელს უწყობს სასარგებლო სანადირო და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების პოპულაციის მდგომარეობის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, იგეგმება საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი კეთილშობილი კავკასიური ირმის შემოყვანა და აღდგენა.

ზ.დ) ინვაზიური სახეობების ელიმინაციის ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში);

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ინვაზიური სახეობებიდან ბინადრობს ენოტი (Procyon lotor), ნუტრია (Myocastor coypus) და მაჩვზღარბა (Hystrix indica). მათი გარემოდან ამოღება ხდება ნადირობის გზით. სამონიტორინგო დაკვირვების გათვალისწინებით მათი რიცხოვნობის მატების შემთხვევაში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ დაცული ტერიტორიების შესაბამის სამსახურებთან გაწეული რეკომენდაციების საფუძველზე შესაძლებელია ჩატარდეს სხვა სახის ელიმინაციის ქმედებები.

ზ.ე) მოქმედი ბუნებრივი და ანთროპოგენური ნეგატიური ფაქტორების და პოტენციური საფრთხეების იდენტიფიკაცია და მათი აღმოფხვრის/შერბილების ღონისძიებები;

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე მოქმედი ბუნებრივი და ანთროპოგენური ნეგატიური ფაქტორები ამ დროისთვის არ მოქმედებს. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ფიტოსანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაავადების კერები არ არის გამოვლენილი. პერიოდულად (წელიწადში 1-ჯერ) ხდება ტყის მასივების სანიტარულ-ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი (დამატებითი მონიტორინგი/კვლევის ჩატარება განიხილება განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ: მავნებლების აფუტკარების, სწრაფი ხმობის, სტიქიური უბედურების თუ სხვა სახის გამოვნელინი საფრთხეების დროს. სტიქიური უბედურებიდან აღსანიშნავია მდინარე იორის ადიდებიდან გამოწვეული დატბორვის საფრთხე. ამ შემთხვევაში ეცნობება სამინისტროს და განხორციელდება მცდელობა, შეძლებისდაგვარად ზიანის აღმოფხვრის მიზნით). დაავადებათა კერების აღმოჩენის შემთხვევები ეცნობება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს, რათა დროულად მოხდეს ფიტოპათოლოგიური და ენტომოლოგიური კვლევები და რეკომენდირებული სამუშაოების ჩატარება. ლიცენზირებულ ტერიტორიაზე ხორციელდება ტყის მასივების შემოვლა და კონტროლი.

თ) ბიომრავალფეროვნების, მათ შორის, ენდემური და რელიქტური სახეობების, მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვისა და მდგრადი მართვის ღონისძიებები;

ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებებისათვის მიზანშეწონილია მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არსებული ცოცხალი ორგანიზმების ფიზიკური, ადგილობრივი მკვიდრი სახეობრივი შემადგენლობის, მრავალფეროვნების, მათი გენეტიკური დაბინძურებისაგან, ეკოსისტემებისა და ჰაბიტატების პირვანდელი სახის შენარჩუნება, მავნებლებისაგან დაცვა.

ტყეების, სადაც აღინიშნება ბიომრავალფეროვნების ელემენტების მაღალი კონცენტრაცია გლობალურ, რეგიონულ ან „წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობები და ერთზე მეტი ენდემური სახეობა, ასევე ბუნებრივი ლანდშაფტის წარმომქმნელი ტყეების (მათ შორის ჭალის ტყეები) მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მინიმალური ჩარევა. საჭიროების შემთხვევაში, აქტიური მენეჯმენტის გზით, აუცილებელია ჩატარდეს კონსერვაციული და მდგრადი მართვის ღონისძიებები.

საქართველოს ,,წითელ ნუსხაში" შეტანილი მცენარეებიდან სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებულია **კაკლის ხე (Juglans regia), ჭალის მუხა (Quercus pedunculiflora C.Koch), პატარა თელადუმა (ყარაღაჯი) (Ulmus minor)**, **პასტუხოვის სურო (Hedera pastuchowii)**.

ლიცენზირებულ ტერიტორიაზე ტყეების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მაღალი რეგენერაციის ხარისხის საფუძველზე ტყის მდგომარეობა სტაბილურია. სამონადირეო მეურნეობის რეინჯერების მიერ ხორციელდება ტერიტორიის დაცვა-პატრულირება. აღნიშნული ქმედებები გაგრძელდება. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი უარყოფითი პროცესების განვითარების შემთხვევაში გატარდება სათანადო პრევენციული ქმედებები. ასევე ეცნობება ტყის მართვის შესაბამის ორგანოს.

ი) ტერიტორიის განაწილება ხანძრის საშიშროების კლასების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების ნუსხა;

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია წარმოდგენილია ხანძრის საშიშროების V ხარისხის კლასისაგან, რომელიც მოიცავს თხმელის, ლაფნის, ვერხვის კორომებს, მარადმწვანე ბუჩქნარებს, ჭალის ტყეებს, და სხვა ჭარბტენიან ტერიტორიებზე არსებულ კორომებს.

ხანძრის პრევენციის მიზნით ხდება ტყის ეკოსისტემების პერიოდულად გაწმენდა ნაყარისგან, ხმელი ტოტებისგან, მალე აალებადი ნივთიერებებისგან, შუშის ნატეხებისგან და სხვა ისეთი ნარჩენებისგან, რომლებიც ნაგვის სახით შესაძლებელია იქნას ნანახი ტყეში ან ბუჩქნარში.

ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებებიდან აუცილებელია ტყის ხანძრებისაგან დაცვის პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება:

ა) სახანძრო დანიშნულების საავტომობილო გზების გასუფთავება ნაყარი ტოტებისგან ტყის იმ უბნებში, რომლებიც ხასიათდება მაღალი სახანძრო საშიშროებით;
ბ) მოსალოდნელი ინტენსიური ხანძრის კერების აღმოფხვრის მიზნით, არსებულის შემთხვევაში ტყეების ჩახერგილობისაგან გაწმენდა;
გ) სამონადირეო მეურნეობის რეინჯერების მიერ ხანძრების გაჩენაზე მეთვალყურეობა, ხანძარსაშიშ პერიოდში სადღეღამისო მორიგეობა;
დ) სამონადირეო მეურნეობის რეინჯერების აღჭურვა თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებებით (რაცია, მობილური ტელეფონები);
ე) სახანძრო ინვენტარითა და ტექნიკით უზრუნველყოფა;
ვ) ტყეში სახანძრო უსაფრთხოების დაცვის ნიშნების განლაგება;
ზ) მოსახლეობასთან/ფერმერებთან სათანადო სააგიტაციო მუშაობა;
თ) ხანძარსაშიში კორომებიდან ძირნაყარი ხე-ტყის გამოტანა და უსაფრთხო ადგილზე განთავსება;
ი) ნადირობისა და ნადირობის სეზონის დაწყების წინ მონადირეების ინფორმირება ტყეების ხანძრებისგან დაცვასთან დაკავშირებით.

ტყეში ხანძრის გაჩენის შემთხვევა დაუყოვნებლივ ეცნობება შესაბამისი უწყების სამსახურებს.

დღეის მდგომარეობით მეურნეობის ტერიტორიის სამ ადგილზე განთავსებულია ხანძარსაწინაარმდეგო ფარი შესაბამისი ინვენტარით: 1) კვრტ. 1, ლტრ. 7; X-537251; Y-4612066;

2) კვრტ. 2, ლტრ 3; X-536457; Y-4611593;

3) კვრტ. 6, ლტრ 7; X-538778; Y-4609838;

კ) ინფორმაცია ტყეების სანიტარიული მდგომარეობის შესახებ და გაუმჯობესების ღონისძიებები, ტყის ენტომომავნებლებით და ფიტო დავადებებით ტყეების დაავადების პროფილაქტიკისა და სალიკვიდაციოდ რეკომენდებული ღონისძიებების ნუსხა ცალკეული ტერიტორიების მიხედვით;

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ფიტოსანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაავადების კერები არ არის გამოვლენილი.

აუცილებელია, წლის გარკვეულ პერიოდში, სათანადო სპეციალისტის მიერ მეურნეობის რეინჯერებთან ერთად მოხდეს ტყის მასივების სანიტარულ-ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი და შეფასება. დაავადებათა კერების აღმოჩენისშემთხვევა კი დაუყოვნებლივ ეცნობოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს. კონსულტაციისა და შემდგომი მითითებების საფუძველზე ჩატარდეს ფიტოპათოლოგიური და ენტომოლოგიური კვლევა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმოს დაავადებათა სალიკვიდაციო სამუშაოები, სადაც მავნებლებთან ბრძოლაში გამოყენებულ იქნება ის ბიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ლიცენზირებულ ტერიტორიაზე, სამონადირეო მეურნეობის რეინჯერების მიერ ხდება ტყის მასივების შემოვლა და სათანადო კონტროლი.

ლ) ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მექანიზმები (მცველთა რაოდენობა, ტრენინგი, შესაბამისი ნაგებობები და სხვა);

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია დაყოფილია ორ სარეინჯერო სამცველოდ და ემსახურება ხუთი რეინჯერი. სამონადირეო მეურნეობის რეინჯერები ახორციელებენ ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის შემოვლას და სისტემურ კონტროლს; აღკვეთავენ ნებისმიერი სახის ბრაკონიერულ ქმედებებს; აწარმოებენ როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების აღრიცხვას; აკონტროლებენ და აკვირდებიან კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოყოფილ ტყეკაფებს; უზრუნველყოფენ ტყის მასივების სანიტარული მდგომარეობის მონიტორინგს; აქტიურად ასრულებენ ბიოტექნიკური ღონისძიებებისათვის განკუთვნილ სამუშაოებს; ასეთი და სხვა სახის საკითხების ქმედებების უკეთ მართვისათვის მათ ყოველწლიურად უტარდებათ შესაბამისი ტრენინგი. რეინჯერების მიერ ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მიზნით შემოვლაზე გასვლა ხდება ცენტრალური ოფისიდან, რომელიც განთავსებულია შემდეგ კოორდინატებზე: კვრტ. 2, ლტრ. 3, X - 536409, Y - 4611534 აღებული UTM კოორდინატთა სისტემაში.

სალიცენზიო ტერიტორიის სხვადასხვა სავარგულში განთავსებულია 36 ფოტოხაფანგი. აღნიშნული უფრო ეფექტიანს ხდის დაცვის ქმედებების განხორციელებას. გარდა ამისა, დაცვის ეფექტიანობის ამაღლებას ხელს უწყობს მცველთა/რეინჯერთა უზრუნველყოფა გადაადგილების სატრანსპორტო საშუალებებით (სამი ერთეული Toyota Hilux Pick Up-ის მარკის ავტომობილი; სამი ერთეული კვადროციკლი, აქედან 2 მაღალი გამავლობის „ბაგი“-ს მარკის) და ცხენებით. მცველები/რეინჯერები სწრაფი კავშირისთვის იყენებენ რაციებს, ტერიტორიის ეფექტური დათვალიერებისა და ფართობის მონიტორინგისთვის კი დრონს, 24 ცალ აიპი კამერასა და ერთ 4G კამერას.

მ) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაგეგმილი ღონისძიებები;

იორის ზეგანი და მის სიახლოვეს არსებული დაცული ტერიტორიების ქსელი (მარიამჯვრის ნაკრძალი, ვაშლოვანის ნაკრძალი) იძლევა საშუალებას ტურისტებისთვის მოეწყოს ბოტანიკური,

ზოოლოგიური, გეოგრაფიული, გეოლოგიური, არქეოლოგიური თუ სხვა სახის შემეცნებით-სანახაობრივი ექსკურსიები.

აღკვეთილიდან ახლოს აღმოჩენილია ენეოლითი-ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, გათხრილია შუა ბრინჯაოს ხანის ეპოქის სამარხები, ნაპოვნია გვიანდელი ბრინჯაოს და ადრინდელი რკინის ეპოქის ძეგლები.

ყორუღთან მდებარე ისტორიულ ძეგლთა შორის ყველაზე გამორჩეული უდავოდ დავით–გარეჯის სამონასტრო კომპლექსია.

მდინარე იორის ჭალა გარეული ფრინველების სამიგრაციო გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთია და შემოდგომა-გაზაფხულის გადაფრენის პერიოდის დროს წარმოადგენს სათვალთვალო ტურიზმის საუკეთესო ტერიტორიას.

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია და მისი სიახლოვე შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს ეკოლოგიური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, რეკრაციული ტურიზმი სხვადსხვა სახის სანადირო თუ სათევზაო ტურებით.

ნ) ინფრასტრუქტურის განვითარება: შესასვლელები, ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, ვიზიტორთა მომსახურების ინფრასტრუქტურა (სასტუმრო, ბილიკები, საინფორმაციო ცენტრი და სხვა), ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო ელ. მომარაგების, წყალმომარაგების და წყლის არინების სისტემების მითითება, სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული შიდა ინფრასტრუქტურა (გზები, ნაგებობები);

სამონადირე მეურნეობას აქვს ერთი შესასვლელი საავტომობილო გზა, შიდა გზები და ბილიკები მოწესრიგებულია.

ლიცენზირებულ ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი სახის ინფრასტრუქტურა:

ცხრილი N22

სახელწოდება	X	Y	კვარტალი	ლიტერი
ცენტრალური ოფისი	536409	4611534	2	3
სახლი	536412	4611788	1	13
დამხმარე ნაგებობა	536443	4611731	1	13
სასროლეთი	536733	4611660	1	16
გარეული ღორის საშენი	537316	4612029	1	7
სახლი/საყარაულო	536356	4611589	2	3
დამხმარე ნაგებობა	536319	4611545	2	3
ხოხბის საშენი	536455	4611662	2	1
გარეული იხვის საშენი	536435	4611642	2	1
სანადირო კოშკურა	537581	4610887	2	11
სანადირო კოშკურა	537973	4610843	5	1
სანადირო კოშკურა	538003	4610896	5	1
სანადირო კოშკურა	538034	4610928	5	1
სანადირო კოშკურა	538064	4610960	5	1
სანადირო კოშკურა	538103	4610987	5	1
სანადირო კოშკურა	538147	4611018	5	1
სანადირო კოშკურა	537599	4610989	5	2
სანადირო კოშკურა	537683	4610935	5	2
სანადირო კოშკურა	537765	4610876	5	2
სანადირო კოშკურა	537832	4610836	5	2
სანადირო კოშკურა	537956	4610759	5	2
სანადირო კოშკურა	537537	4611000	5	2
მეთევზის სახლი	538797	4609904	6	7
სანადირო კოშკურა	537609	4610781	6	1
სანადირო კოშკურა	537610	4610687	6	1
სანადირო კოშკურა	537560	4610612	6	1

სანადირო კოშკურა	537519	4610511	6	1
სანადირო კოშკურა	537468	4610420	6	2
სანადირო კოშკურა	537427	4610348	6	2
სანადირო კოშკურა	537379	4610267	6	2
სანადირო კოშკურა	537355	4610196	6	2
სანადირო კოშკურა	537697	4609559	6	2
სანადირო კოშკურა	537767	4609588	6	2
სანადირო კოშკურა	537867	4609588	6	2
სანადირო კოშკურა	537942	4609613	6	2
სანადირო კოშკურა	538035	4609647	6	2
სანადირო კოშკურა	538139	4609759	6	5
სანადირო კოშკურა	538201	4609836	6	5
სანადირო კოშკურა	538206	4609940	6	5
სანადირო კოშკურა	538206	4610030	6	5
სანადირო კოშკურა	537205	4609902	7	1
სანადირო კოშკურა	537166	4609828	7	1
სანადირო კოშკურა	537128	4609758	7	1
სანადირო კოშკურა	537077	4609667	7	1
სანადირო კოშკურა	537294	4610078	7	2
სანადირო კოშკურა	537246	4609983	7	2
სანადირო კოშკურა	537386	4609171	7	3
სანადირო კოშკურა	537449	4609291	7	3
სანადირო კოშკურა	537499	4609350	7	3
სანადირო კოშკურა	537562	4609402	7	3
სანადირო კოშკურა	537628	4609479	7	3
სანადირო კოშკურა	537037	4609573	7	4
სანადირო კოშკურა	536952	4609582	7	4
სანადირო კოშკურა	538229	4609049	8	3
სანადირო კოშკურა	538145	4608964	8	3
სანადირო კოშკურა	539143	4607934	9	3
სანადირო კოშკურა	539195	4608018	9	3
სანადირო კოშკურა	539240	4608076	9	3
სანადირო კოშკურა	539296	4608143	9	3
სანადირო კოშკურა	539384	4608216	9	3
სანადირო კოშკურა	539453	4608273	9	3
სანადირო კოშკურა	538630	4608459	9	6
სანადირო კოშკურა	538618	4608371	9	6
სანადირო კოშკურა	538603	4608286	9	6
სანადირო კოშკურა	538587	4608200	9	8
სანადირო კოშკურა	538728	4608692	10	1
სანადირო კოშკურა	538701	4608622	10	1
სანადირო კოშკურა	538668	4608548	10	2
სანადირო კოშკურა	538646	4608504	10	2

ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისათვის დაგეგმილია სხვადასხვა სახის პროექტების განხორციელება, რომელიც ეტაპობრივად ეცნობება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, სსიპ დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტოს შესაბამის სამსახურებს.

ო) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები;

საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა ხდება ნებისმიერ ტერიტორიაზე. ამ მხრივ გამონაკლისს არც სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია წარმოადგენს.

ნარჩენების მართვის მიზნით უზრუნველყოფილი იქნება სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე დაგროვილი საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენების შეგროვება და ტერიტორიიდან გატანა, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემილოგიური უსაფრთხოების ნორმებისა

და წესების დაცვით. არ მოხდება ნარჩენების სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე დაყრა-განთავსება და ჩაყრა წყლის ობიექტებში. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა მოხდება საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად. ამ საკითხის თაობაზე ხელშეკრულება დაიდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგვის ურნები.

პ) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ჰიდროლოგიური ქსელის დახასიათება.

სამონადირეო მეურნების ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოედინება ორი ძირითადი მდინარე ესენია: მდინარე **იორი** რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებისაა. სათავეს იღებს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ბორბალოსთან, ზღვის დონიდან 2600 მ სიმაღლეზე. ზემოწელში მიედინება ხეობაში, შუაწელზე კვეთს სამგორის ქვაბულს და ერთვის მინგეჩაურის წყალსაცავს. მდინარე იორი სამონადირეო მურნეობის ტერიტორიას გაივლის დაახლოებით 5617 მ სიგრძეზე, ხოლო მეორე მდინარე - **მღვრიე** მიედინება 4447 სიგრძეზე. წყალდიდობის დროს იფარება სანაპირო ზოლი და მის სიახლოვეს არსებული ჭალის ტყე, რაც მცირე ზეგავლენას ახდენს არსებულ ფლორასა და ფაუნაზე.

- **სალიცენზიო პირობებისა და მართვის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები და მათი შესრულების გეგმა-გრაფიკი**

,,საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და სალიცენზიო პირობების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N1858 განკარგულების შესაბამისად, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 25 ოქტომბრის N586/ს ბრძანებით განესაზღვრა დამატებითი სალიცენზიო პირობები. მათ შორისაა დამატებითი სალიცენზიო პირობებით და მართვის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონკრეტული/დეტალური გეგმა-გრაფიკის მომზადების ვალდებულება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ხსენებული გეგმა-გრაფიკი - საქმიანობის დროში განაწილება.

საქმიანობის დროში განაწილება (პერიოდი 10 წელი)

ცხრილი N23

ქმედება	წელი										შენიშვნა (**საქმიანობის მიმდინარეობა**)
1. ცხოველთა რესტოკინგის, ინტროდუქციის ღონისძიებები	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	
1.1. რესტოკინგისათვის (გარეული ცხოველების ბუნებში აღდგენა) გარეული ღორის და შვლის შემოყვანა, გამრავლება, გაშვება											მიმდინარე
1.2. ინტროდუქციისთვის (ახალი სახეობის შემოტანა ან აღდგენა)											მიმდინარე

კეთილშობილი ირემის შემოყვანა, გამრავლება, გაშვება											
1.3. კოლხური ხოხბის, გარეული იხვის საშენებში გამრავლება-გაშვება											მიმდინარე
1.4. ნადირ/ფრინველის საშენის მოწყობა (კეთილშობილი ირმისთვის, გარეული ღორისთვის, შვლისთვის, ხოხობისა და გარეული იხვისთვის თითო-თითო ცალცალკე)											მიმდინარე
2. ნადირობა და ტერიტორიის მონიტორინგი	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	
2.1. ნადირობა დადგენილი კვოტების და ვადების ფარგლებში											+
2.2. სანადირო ცხოველების მოპოვებული რესურსის აღრიცხვა, სახეობის, სქესის, ასაკის, წონის მიხედვით. მოპოვების თარიღი, ადგილისა და დღის მონაკვეთის მითითებებით											რესურსი აღირიცხება სანადირო ცხოველების მოპოვებული რესურსის აღრიცხვა სახეობის, სქესის, ასაკის, წონის მიხედვით მოხდება სპეციალურ ჟურნალში, სადაც ასევე მიეთითება მოპოვების თარიღი, ადგილი და დღის მონაკვეთი.
2.3. მოპოვებული სანადირო რესურსის ვეტერინალური შემოწმება											მოპოვებული ცხოველის ვეტერინარული შემოწმება მოხდება ვეტერინართან, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მოქმედ ვეტერინალურ მომსახურების პუნქტში.
2.4. ნადირობა გარეულ ღორზე, კოლხურ ხოხობზე, გარეულ იხვზე											ამ ეტაპზე ნადირობა ხდება მხოლოდ გარეულ

(მზარდი პოპულაციის მიღების შემთხვევაში)											ღორსა და ხოხობზე
2.5. ნადირობა არსებულ ინვაზიურ სახეობებზე											ინვაზიურ სახეობებზე ნადირობა მიმდინარეობს და მოხდება მარითვის გეგმის შესაბამისად, ასევე დადგენილი კვოტების ფარგლებში
3. დაცვითი ღონისძიებები	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	
3.1. ნადირობისათვის საჭირო არსებული სატყეო გზებისა და ბილიკების განახლება/რეაბილიტაცია,											
3.2. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შეძენა (მეურნეობის ტერიტორიის სამ ადგილზე განთავსებული ხანძარსაწინაარმდეგო ფარი შესაბამისი ინვენტარით: კვრტ. 1, ლტრ. 7; X-537251; Y-4612066; კვრტ. 2, ლტრ 3; X-536457; Y-4611593; კვრტ. 6, ლტრ 7; X-538778; Y-4609838.)											შესრულებილი
3.3. რეინჯერების აღჭურვა ცხენებით, სატრასპორტო საშუალებით, რაციებით, დრონებით და სხვ.											შესრულებილი
3.4. რეინჯერებისთვის ტრენინგის ჩატარება - ლიცენზირებულ ტერიტორიაზე არსებული ფლორისა და ფაუნის დაცვის, მდგრადი განვითარების, ბიოტექნიკური თუ სხვა რიგი სახის ღონისძიებების ჩატარების წარმატებით განხორცილების მიზნით											
3.5. ფირნიშების განლაგება/განახლება											ფირნიშები განლაგებულია ლიცენზირებულ

											ტერიტორიის მთელ ფართობზე, (1,2,3,5,6,7,8,9,10 კვრტ.)
4. ბიოტექნიკური ღონისძიებები	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	
4.1. სამარილეების მოწყობა											+
4.2. მიწავაშლას, ქერის, სიმინდის, ხორბლის და სხვა სახის მარცვლეული კულტურების დათესვა											+
4.3. საკვებურების მოწყობა/განახლება (სავარგულის მთლიანი ფართობის დაახლოებით 6-8 ადგილას მოთხოვნის შესაბამისად)											+
6. ინფრასტრუქტურის მოწყობა	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	
6.1. რეინჯერთა ცხენებისთვის თავლის მოწყობა											მიმდინარე
7. ვებ გვერდის შექმნა											შესრულებული
8. თევზჭერის ადგილების ან/და არსებული დაჭაობებული ტბორების აღდგენა/მოწყობა, ლელქაშისგან გასუფთავება											მიმდინარე
9. მონადირის სახლების (კოტეჯების) მონადირე / ვიზიტორებისათვის საინფორმაციო ცენტრის და დამხმარე ინფრასტრუქტურის თონე, მარანი) მოწყობა											მიმდინარე
10. სანადირო კოშკურების მოწყობა (განლაგებულია - 2,5,6,7,8,9,10 კვარტლებში ≈ 59 ცალი)											შესრულებული
3.5. ლიცენზირებული ტერიტორიის მთლიან ფართობზე არსებული ღობის განახლება/აღდგენა ახალი რკინის ბადე-ღობეებით											შესრულებული

<u>გარდა ზემოთ, ცხრილში მითითებული ვალდებულებებისა, ლიცენზიანტის მიერ დაცული იქნება მოთხოვნები, დამატებითი სალიცენზიო პირობების შესრულების კუთხით, რომლებიც დაკონკრეტებულია (ზოგ შემთხვევაში იმეორებს ზემოთ, ცხრილში მოცემულ აქტივობებს) ქვემოთ.</u>

<u>აქვე მოცემულია ამ ვალდებულებების შესრულების მდგომარეობაც და რიგ შემთხვევაში სამომავლოდ დასახული ქმედებები, ვალდებულებების შესრულების კუთხით:</u>

საქმიანობისას დაცული იქნება საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებული „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების“ შესახებ დებულებით განსაზღვრული სალიცენზიო პირობები და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 25 ოქტომბრის N586/ს ბრძანებით გათვალისწინებული დამატებითი სალიცენზიო პირობები - მუდმივად, ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში;

გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის ვადის გაგრძელებიდან არაუგვიანეს 5 წლისა, სამონადირეო მეურნეობის განვითარების მიზნით, განახორციელებს ინვესტიციას არანაკლებ 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით შემდეგი მიმართულებებით:

გ.ა) 2023-2025 წლებში სანადირო სახეობების 80 სული (სადედე ინდივიდი) გარეული ღორის და 10 სული შველის (სადედე ინდივიდი) შემოყვანა აღწარმოება/გამრავლების მიზნით - გარეული ღორის და შვლის ინდივიდების სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე შემოყვანა დაწყებულია. 2025 წლის ბოლომდე მოხდება ამ ვალდებულების შესრუელბა.

გ.ბ) 10 სული კეთილშობილი ირემის (კავკასიური ფორმის) (სადედე ინდივიდი) შემოყვანა სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შესაბამისად - ვალდებულების შესრულების მიზნით დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები და 2028 წლის ბოლომდე მოხდება მისი სრულად აღსრულება, მათ შორის ქვემოთ - გ.გ) ქვეპუნქტში მოცემული მოთხოვნის შესაბამისად;

გ.გ) 2023-2028 წლებში უზრუნველყოფს ნადირ/ფრინველის (კეთილშობილი ირემი, გარეული ღორი, შველი, ხოხობი და გარეული იხვი) საშენ(ებ)ის (სახეობების მიხედვით) მოწყობას და ფუნქციონირებას - ვალდებულების შესრულების აქტივობები დაწყებულია და 2028 წლისთვის უზრუნველყოფილი იქნება სრულად შესრულება;

გ.დ) 2024 წლიდან ლიცენზიის მოქმედების განმავლობაში ყოველწლიურად უზრუნველყოფს კოლხური ხოხბის (1500 ფრთა) და გარეული იხვის (200 ფრთა) საშენ(ებ)ში გამრავლებას და სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე გაშვებას - 2024 წელს გაშვებულია მითითებული ოდენობის ფრინველი, წინამდებარე მართვის გეგმაში ასახული ინფორმაციის შესაბამისად (გარეული იხვის საშენი კვრტ. 2, ლტრ. 1. სახოხბე კვრტ. 2, ლტრ. 1.);

გ.ე) ლიცენზირებული ტერიტორიის მთლიან ფართობზე უზრუნველყოფს არსებული ღობის განახლება/აღდგენას ლითონის ბადე-ღობით. იმისათვის, რომ ხელი არ შეეშალოს გარეულ ცხოველთა მიგრაციას, ღობის განახლება/აღდგენას უზრუნველყოს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმებით, ხოლო აღნიშნული საკითხები აისახება სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმაში - გეგმაში ასახულია ეს საკითხები. ღობე მოწყობილია და საკითხი შეთანხმებულია;

გ.ვ) 2023-2024 წლებში განახორციელოს სანადირო კოშკურების მოწყობა სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შესაბამისად - კოშკურები მოწყობილია და საჭიროებისამებრ მოხდება მათი განახლება, აღდგენა, დამატება, მართვის გეგმის შესაბამისად;

გ.ზ) ლიცენზიის მოქმედების განმავლობაში, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, 2023-2024 წლებში უზრუნველყოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შეძენა და განთავსება სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე -

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი შეძენილია და განთავსებულია სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე;

გ.თ) 2023-2024 წლებში უზრუნველყოს რეინჯერების აღჭურვა ცხენებით, სატრანსპორტო საშუალებებით, რაციებით, დრონებით და სხვა შესაბამისი აღჭურვილობით - ხსენებული აღჭურვილობით, ცხენებითა და სატრანსპორტო საშუალებებით რეინჯერები უზრუნველყოფილნი არიან;

გ.ი) 2024-2025 წლებში უზრუნველყოს რეინჯერთა ცხენებისთვის თავლის მოწყობა - თავლა მოწყობილია;

გ.კ) 2023-2024 წლებში უზრუნველყოს სამონადირეო მეურნეობის ვებ-გვერდის შექმნა და ლიცენზიის მოქმედების ვადაში მისი ფუნქციონირება - ვებ-გვერდი შექმნილია და ფუნქციონირებს; გვერდის მისამართი: www.nadiruli.ge

გ.ლ) სალიცენზიო ფართობის გარე პერიმეტრზე, 2023-2024 წლებში განათავსოს სასაზღვრო ფირნიშები და სამონადირეო მეურნეობის სქემატური რუკა, ხოლო შიდა სამეურნეო ტერიტორიული ერთეულის ფირნიშებზე დაიტანოს შესაბამისი ერთეულის კონტურები მართვის გეგმის შესაბამისად - შესრულებულია. მუდმივად განხორციელდება მონიტორინგი მათი განახლების საჭიროების გამოსავლენად და შესაბამისად მოხდება განახლება, მართვის გეგმის შესაბამისად;

გ.მ) 2025-2026 წლებში უზრუნველყოს თევზჭერის ადგილების ან/და ტბორების აღდგენა/მოწყობა კანონმდებლობით დადგენილი წესით - თევზჭერის ადგილები, ტბორები აღდგენილია და მოწყობილია. მართვის გეგმის შესაბამისად მოხდება მათი გადახალისება;

გ.ნ) 2023-2025 წლებში უზრუნველყოს მონადირის სახლების (კოტეჯების), მონადირე/ვიზიტორებისათვის საინფორმაციო ცენტრის და დამხმარე ინფრასტრუქტურის (თონე, მარანი) მოწყობა - ინფრასტრუქტურა მოწყობა დასრულებას უახლოვდება.

დამატებითი სალიცენზიო პირობებით განსაზღვრულია ასევე სხვა ვალდებულებები, რომლებიც მოცემულია ქვემოთ. აქვე მითითებულია კომენტარები, შესრულების შესახებ:

დ) დადგენილი კვოტების შესაბამისად, შეთანხმებული მართვის გეგმით განსაზღვრული ოდენობით უზრუნველყოს გარეული ღორისა და კოლხური ხოხობის ყოველწლიური ამოღება - კვოტები მოთხოვნილი იქნება ყოველწლიურად, კანონმდებლობის შესაბამისად და დამტკიცების შემდეგ მოხდება გარეულ ღორსა და ხოხობზე ნადირობა;

ე) ლიცენზიის მოქმედების განმავლობაში, უზრუნველყოს სამარილეების და საკვებურების მოწყობა/განახლება მართვის გეგმის შესაბამისად - აღნიშნული ქმედება განსაზღვრულია მართვის გეგმით და შესაბამისად უზრუნველყოფილია მისი განხორციელება;

ვ) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ცხოველთა სახეობების კვებისათვის, ყოველწლიურად განახორციელოს მართვის გეგმით გათვალისწინებული საჭირო კულტურების (მიწავაშლა, ქერი, სიმინდი, ხორბალი და სხვა) დათესვა - აღნიშნული გათვალისწინებულია მართვის გეგმით და ხორციელდება;

ზ) განახორციელოს ნადირობისათვის საჭირო არსებული სატყეო გზებისა და ბილიკების განახლება/რეაბილიტაცია - ქმედება გათვალისწინებულია მართვის გეგმაში და უზრუნველყოფილია მისი განხორციელება;

თ) ლიცენზიის მოქმედების განმავლობაში, ყოველწლიურად, უზრუნველყოს რეინჯერებისთვის ტრენინგის ჩატარება - მათი ფუნქციების ეფექტიანი განხორციელების მიზნით - ტრენინგები რეინჯერებისთვის ჩატარებულია და შემდგომშიც ყოველწლიურად განხორციელდება;

ი) სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშთან ერთად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინოს საინვესტიციო ვალდებულებების დადგენილი გეგმა-გრაფიკით შესრულების, ხოლო 5 წლიანი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვისა სრული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების შესახებ დადასტურება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ გაცემული დასკვნით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ინვესტიცია სრულად განხორციელდება 5 (ხუთი) წლის გასვლამდე, აღნიშნული დასკვნა საინვესტიციო ვალდებულების შესრულების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნეს ინვესტიციის განხორციელებიდან არაუგვიანეს 6 თვისა. - შესრულდება დადგენილი მოთხოვნებისა და ვადების დაცვით.

კ) ლიცენზიის ვადის გაგრძელებიდან 1 თვის ვადაში, სალიცენზიო ფართობის დაცვის მიზნით, საჭირო რეინჯერ-ეგერების რაოდენობა და ტყის დაცვის ღონისძიებები (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით) შეათანხმოს სამინისტროსთან, და ასახოს სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმაში - შესრულებულია ვადაში და ასახულია მართვის გეგმაში;

ლ) ხელი არ შეუშალოს სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ვიზიტორთა გადაადგილებას დაცული ტერიტორიების კანონმდებლობის შესაბამისად; სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება განხორციელდეს სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელის ინფორმირების, ხოლო ნადირობის შემთხვევაში - მისი თანხმობის შემდეგ - შესრულდება მოთხოვნის შესაბამისად. ვიზიტორთა და მონადირეთა რეგისტრაცია მოხდება სპეციალურ ჟურნალში;

მ) ლიცენზიის ვადის გაგრძელების შემდეგ, დაიცვას სამონადირეო მეურნეობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მოთხოვნები და მათი გათვალისწინებით, ცვლილებიდან არა უგვიანეს 12 თვისა სამინისტროში წარადგინოს სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შესაბამისი პროექტი - ვალდებულეის მოთხოვნები შესრულდება, კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში;

ნ) სალიცენზიო ტერიტორიის ფიზიკური დაცვის, ასევე ლიცენზირებულ ფართობზე არსებულ ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მიზნით, მათი გადაადგილების აქტიურ ზონებში, განათავსოს ფოტო-ხაფანგები სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შესაბამისად - ფოტოხაფანგი - 36 ცალი უკვე განთავსებულია სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე, რაც ასახული წინამდებარე მართვის გეგმაშიც;

ო) *სამონადირეო მეურნეობის სავარგულებში მოპოვებული სანადირო რესურსის ვეტერინარული შემოწმება განახორციელოს მართვის გეგმის შესაბამისად;* -

პ) *განახორციელოს სამონადირეო მეურნეობაში მოპოვებული რესურსის აღრიცხვა - ცხოველთა სახეობის, სქესის, ასაკის და წონის მიხედვით, ასევე, მოპოვების თარიღის, ადგილისა და დღის მონაკვეთის მითითებით;*

ჟ) *სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, უზრუნველყოს, რომ სამონადირეო მეურნეობაში დასაქმებული პერსონალის 80% წარმოადგენდეს იმ მუნიციპალიტეტების ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებსაც მოიცავს სალიცენზიო ტერიტორია* - ვალდებულება შესრულებულია;

რ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით სარგებლობისას ხელი არ შეუშალოს სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფარგლებში დაცული ტერიტორიების კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელებას; აღნიშნული საქმიანობების შესახებ უნდა ეცნობოს ლიცენზიის მფლობელს - ვალდებულება შესრულდება;

ს) ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე დამატებითი ინფრასტრუქტურა მოაწყოს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმებით - ვალდებულება შესრულდება;

ტ) ასაშენებელი/სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურის მოწყობისას, საბაზისო არქიტექტურულ-სამშენებლო და ტექნიკური პარამეტრები, ასევე რენდერები შეათანხმოს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან - ვალდებულება შესრულდება;

უ) საინვესტიციო ვალდებულების გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადაში შეუსრულებლობისას, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ჯარიმის გარდა, სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს განსახორციელებელი (დარჩენილი) საინვესტიციო ღირებულების 0,05 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე - ვალდებულების მოთხოვნა ცნობილია.

ფ) ლიცენზიის ვადის გაგრძელებიდან ერთი თვის ვადაში, სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს 8 500 ლარი - ვალდებულება შესრულებულია, აღნიშნული თანხა გადახდილია სახელმწიფო ბიუჯეტში.